საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 2015 წელი.

№174 (7819)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იქნებ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურმა შეგვიმციროს ტარიფები

საპარტნიორო ფონდმა კორეულ კომპანია K-Water-თან ერთად სვანეთში, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა.

იტალიური კომპანია Salini Impregilo ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე წინამოსამზადებელ სამუშაოებს იწყებს.

წინამოსამზადებელი სამუშაოები გულისხმობს სამშენებლო მოედანთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია/მშენებლობას და სამშენებლო ტექნიკის მობილიზაციას. რაც შეეხება ძირითადი სამუშაოების დაწყებას, იგი დაგეგმილია 2016 წლიდან, თუმცა მშენებლობის ნებართვა 2015 წლის ოქტომბრის ბოლომდე გაიცემა.

მშენებლობის დაწყების ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, მთავრობის წევრებმა, კორეის რესპუბლიკის და იტალიის ელჩებმა და K-Water-ისა და Salini Impregilo-ს ხელმძღვანელმა პირებმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგია ზამთრის პერიოდში იმპორტს ჩაანაცვლებს და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას განამტკიცებს. ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა პროექტში მონაწილე ყველა ჩართულ მხარეს, განსაკუთრებით აღნიშნა საპარტნიორო ფონდის გუნდის წვლილი.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. ეს იყო ხანგრძლივი, რთული მოლაპარაკების პერიოდი, რომელიც წარმატებით დასრულდა. **„1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებაში სხვა ფაქტორებთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სადგური 36 წელში უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობის გარეშე სახელმწიფოს გადაეცემა“,** — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

K-Water-ის პრეზიდენტმა გაევონ ჩოიმ, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოვიდა კორეიდან აღნიშნა, რომ მისი კომპანია ძალისხმევას არ დაიშურებს პროექტის წარმატებისთვის.

280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურს საპარტნიორო ფონდი კორეულ კომპანია K-Water-თან ერთად სვანეთში მდ. ენგურის შენაკადზე აშენებს, რომლის პოტენციური წლიური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ იქნება. სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება. მშენებლობას საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული უმსხვილესი იტალიური კომპანია — Salini Impregilo განახორციელებს.

პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარია.

გული როგორ არ გერევათ მაგათთან ჯდომა-ყოფნითა?! 6

ოპოზიცია იმუქრება, ხელისუფლება დუმს 4

გადააყენეთ სააკაშვილი, ექსპერიმენტმა არ გაამართლა!

უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის გადაყენების შესახებ პეტიცია გამოჩნდა. პეტიციის ავტორი წერს, რომ სააკაშვილმა სამთვიანი გუბერნატორობის განმავლობაში ვერ შეძლო ვერც ერთი პირობის შესრულება, ამიტომაც უნდა გადადგეს.

„ოდესის მოსახლეობა რეალურ რეფორმებს ვერ ხედავს. სააკაშვილის ყველა რეფორმა მხოლოდ სიტყვებია. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სატელევიზიო ინტერვიუებში ხდება, ინტერვიუების მიცემა კი გუბერნატორს ძალიან მოსწონს“, — წერს პეტიციის ავტორი.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ რეგიონში ინვესტიციებს მიიზიდავდა, ოდესაში „ერთი ინვესტორიც“ კი არ გამოჩენილა.

„ჩვენ მოვუწოდებთ უკრაინის პრეზიდენტს, გადააყენოს სააკაშვილი თანამდებობიდან. ექსპერიმენტმა არ გაამართლა. დროა, ეს გულწრფელად ვაღიაროთ“, — ნათქვამია პეტიციაში.

პეტიციას ამ დროისათვის 100-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ აღნიშნული ინიციატივა განიხილოს, საჭიროა 25 000 ხელმოწერის შეგროვება.

იუზა ჩაკვეტაძე

გრიგალს ველი ხვალიდან

მოსდებია ქაფი ზვირთებს, ზღვა კარგად ჩანს ხვამლიდან, დღეს გასაჭირს ხალხი ითმენს, გრიგალს ველი ხვალიდან. 7

ივანიშვილის დილემა, ანუ „წმენდა“ არა წმენდისთვის!

ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ უნდა გააკეთონ ის, რაც ევალებათ, ხალხიც დაიჯერებს, რომ ლარი სტაბილური ხდება 2

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

სოსო ჯაჭვლიანი ანტიდისკრიმინაციული კანონიდან „მამათმავლობის განმსაზღვრელი“ ტერმინების ამოღებას ითხოვს

„პირველ რიგში, მინდა გამოვხატო ჩემი მხარდაჭერა პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივაზე, კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალის და კაცის თანაცხოვრება. მეორეს მხრივ, მინდა დავაფიქსირო სინანული და გულისტკივილი იმ ფაქტის გამო, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების დროს, ჩვენ თვითონვე ვუყვარეთ კენჭი მამათმავლობას — ამ უკანონო ცხოვრების წესის დაკანონებას. ამ კანონის საფუძველზე მათ უკვე მოიპოვეს სრული უფლება, მოევლინონ ჩვენს შვილებს პედაგოგებად სკოლებსა და ბაღებში. ამ კანონის საფუძველზე მათ უკვე მოიპოვეს სრული უფლება, თავიანთი ცხოვრების წესს გაუწიონ პროპაგანდა, აგიტაცია. ამ კანონის საფუძველზე ჩვენს მიერ მათი მხილება, პროპაგანდაში ხელის შეშლა, დასჯადი გახდა. აქედან გამომდინარე, ვსარგებლობ რა ჩემი სადეპუტატო მანდატით, შემოვდივარ საკანონმდებლო წინადადებით, ანტიდისკრიმინაციულ კანონში შევიტანოთ ცვლილებები და მისი ჩამონათვალიდან ამოვიღოთ მამათმავლობის განმსაზღვრელი ტერმინები — „გენდერული იდენტობა“ და „სექსუალური ორიენტაცია“, რათა მომავლში ვეღარ დაშენდეს მასზე, იქნება ეს ერთსქესენთა ქორწინება, ერთსქესიანი წყვილების მიერ ბავშვის აყვანა და ასე შემდეგ. იმედს გამოვთქვამ, რომ დეპუტატები მხარს დაუჭერენ ინიციატივას. თუნდაც დღეს ეს კანონი არ გავიდეს, მომავალში მაინც შევქმნით პრეცედენტს, რათა გაიმარჯვოს რწმენამ და ზნეობამ. დედამიწაზე შეუცდენელი ადამიანი არ არსებობს, შეუცდენელია მარტო უფალი. კარგია, როცა შეგიძლია გამოთქვა სინანული. ძალიან ბევრი ადამიანია ამ პარლამენტში, ვინც ფიქრობს ისე, როგორც მე. ყველამ ძალიან კარგად იცის ჩემი და გიორგი ბარამიძის დამოკიდებულება. გიორგი ბარამიძე ახლა დარბაზში არ იმყოფება და მინდა, მისმა მეგობრებმა გადასცენ: - თუ ამ ცვლილებებს გიორგი ბარამიძე მხარს დაუჭერს, მე მისი მეგობარი გავხდები, ხოლო თუ მხარის დაჭერა მისი სურვილი არ იქნება, ჩემთვის ჩავთვლი, რომ მყავს ერთი სულიერი მეგობარი“, — განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.

◎ „ოცნებამ“ სტატუს-კვო რომ შეინარჩუნოს...

ივანიშვილის დილემა, ანუ „წმენდა“ არა წმენდისთვის!

ექსპერტი გია ხუხაშვილი ქართული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ დღევანდელი დეპუტატების დაახლოებით 90 პროცენტი მომავალ პარლამენტში არ უნდა იჯდნენ!

საუბარია კოალიცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებზე, რომლებმაც განვლილ სამ წელიწადში საკუთარი თავი პრინციპულობითა და სახელმწიფოებრივი ხედვით ვერ დაგვამახსოვრეს — მეტიც, მათ კისერზეა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი კანონების თუ ინიციატივების (რომლებიც ჯერ დაკანონებული არ არის) მიღება, რომელიც „შავ ლაქად“ დარჩება საქართველოს ისტორიაში.

მართალია, ხელისუფლებამ „საკადრო წმენდა“ დაანონსა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია: ვის შეეხება ეს „წმენდა“ — პარტიულ აქტივისტებს, საჯარო მოხელეებს თუ მოქმედ პარლამენტარებსაც!

„ქართულ ოცნებას“ სტატუს-კვოს შენარჩუნებისთვის ახალი სახეები რომ სჭირდება, ეს საკამათო არ არის, უფრო საინტერესოა, ვისზე გააკეთებს იგი სწორებას და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან ახალი აქტივისტები თუ ახალი სახეები...

კულუარებში ამბობენ, რომ „წმენდა“ მართლაც იწყება, მაგრამ ხარისხს ყურადღება არ ექცევა, ანუ, შეიძლება ალხანა ჩალხანათი ჩანაცვლდეს. განსაკუთრებით ამაზე აპელირებენ რაიონებში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის!

ადგილებიდან მოდის ინფორმაცია, რომ აქცენტი ისევ ყოფილ ნაციონალებზე კეთდება, რაც საზოგადოების კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს — მათ კარგად ახსოვთ ნაცების ზეობის პერიოდში, განსაკუთრებით წინასაარჩევნო ბატალიების დროს ვინ როგორ „სუნთქავდა“ და როგორი უშრობდნენ სისხლს „ქართული ოცნების“ აქტივისტებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც, როგორც მისი წინამორბედნი, არ წყალობს პროფესიონალებს — განსაკუთრებით იმათ, ვინც კანონიერად აკრიტიკებს და გამოსავალს მხოლოდ სისტემურ ცვლილებაში ხედავს, რომლის ნებას ჯერჯერობით „ქართული ოცნება“ არ ამჟღავნებს!

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება კი გვიჩვენებს, აქვს თუ არა სურვილი მოქმედ ხელისუფლებას არსებითად შეცვალოს სახელმწიფოს მართვის სტრატეგია და ორიენტაცია სისტემურ ცვლილებებზე აიღოს, რომლის მიღწევა სათანადო (პროფესიონალური) საკადრო რესურსის გარეშე შეუძლებელია.„ქართული ოცნებისთვის“ მთავარი ტესტი სწორედ მის მიერ დაანონსებული „საკადრო წმენდა“ იქნება, რომელიც არა მარტო პარტიულ იერარქიას, არამედ მომავალი საპარლამენტო კანდიდატების შერჩევის პრინციპსაც უნდა დაეყრდნოს!..

თუ სოსო ცინცაძის ნათქვამს გავიზიარებთ, ივანიშვილი მარსიდან და მთვარიდან ვერ ჩამოიყვანს „ახალ“, რაფინირებულ პოლიტიკოსებს, მაგრამ ძველმა რომ არ გაამართლა, ფაქტია. სხვანაირად არც იყო მოსალოდნელი, რადგან გუნდის ფორმირება არა პროფესიონალიზმის, არამედ სპონტანურად მოხდა და შედეგიც ის მივიღეთ, რაც უნდა მიგვეღო!..

მიუხედავად იმისა, რომ პოლირიკურ ავანსცენაზე ახალი პოლიტიკური ძალები ჯერ არ გამოჩენილა, ხალხი ცოტათი „დაბრძენდა“ (როგორ უყვართ გამოთქმა „ხალხი ბრძენია“) და დახავსებულ, კორუმპირებულ, საკუთარ კომფორტზე დაგეშილ ადამიანებს უკვე აღარ მიიღებს!

აქედან გამომდინარე, სახელს და გვარს არ დავასახელებ (როგორც იტყვიან, კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს), მაგრამ მომავალი არჩევნების პოტენციურ დირიჟორს სერიოზული დაფიქრება მოუწევს — რა თქმა უნდა, ეს საგრძნობლად მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ ბალასტისგან უნდა განთავისუფლდეს, უპირველესად უნდა შეელიოს პირმოთნე ლაქიებს, რომლებსაც გარდა პირადი კეთილდღეობისა, სხვა არაფერი აინტერესებთ.

თუმცა, ახალი სახელი და გვარი ახალ სახეს ნამდვილად არ ნიშნავს, თუ თვისობრივი განსხვავებაც არ იქნება გათვალისწინებული.

ერთი სიტყვით, „წმენდა“ არა წმენდისთვის!!!

ანდრია ლისაშვილი

◎ ფინანსები

ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ უნდა გააკეთონ ის, რაც ევალებათ, ხალხიც დაიჯერებს, რომ ნარი სგაბილური ხდება

მცირედი გამყარების შემდეგ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში კატასტროფულად დაეცა და პანიკაც გამოიწვია. ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4170 ლარი გახდა, მაგრამ მთავარი მოვლენები ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგნილი კურსის შემდეგ განვითარდა. „ბლუმბერგის“ ელექტრონულ სისტემაში საღამოს 5 საათის შემდეგ ლარმა მკვეთრი ვარდნა დაიწყო და სულ რაღაც ერთ საათში 2,46-ს გადასცდა.

მიუხედავად იმისა, რომ სებ-ის ოფიციალური კურსი უკვე დადგენილი იყო, სავალუტო ჯიხურებმა სასწრაფოდ აუწყვეს ფეხი „ბლუმბერგს“ და დღის ბოლოს 1 დოლარის ფასმა 2,50 ლარს მიაღწია. ზოგიერთ კომერციულ ბანკში ერთი აშშ დოლარი 2.54 ლარიც კი ღირდა. მაგალითად, „ვითიბი ბანკი“ დოლარს 2.50 ლარად ყიდდა, „საქართველოს ბანკი“ - 2.54 ლარად, „კორ სტანდარტ ბანკი“ — 2.4950 ლარად, „თიბისი ბანკი“ — 2.51 ლარად და ა.შ.

სავალუტო ბაზარზე მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა, მით უფრო, რომ მთავრობაც და ეროვნული ბანკიც აღიარებს, რომ ლარზე მოქმედი ყველა ფუნდამენტური ფაქტორი ამოწურულია და სამომავლოდ კურსის გაუფასურებას არ უნდა ველოდოთ.

ეკონომიკა შედარებით გაჯანსაღებულია, ინვესტიციები მზარდია, ტურისტების ნაკადმა საკმაოდ მოიმატა, საბიუჯეტო ზეწოლა გამოირიცხა და საგადასამხდელო ბალანსიც ასე თუ ისე მოწესრგდა.

ერთადერთი პრობლემა რაც დარჩა, ეს ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირებაა, თუმცა არა იმ დოზით, რომ ამან კურსზე აშკარად იმოქმედოს.

საქართველოში 2015 წლის აგვისტოში, წინა წელთან შედარებით, 35.1%-ით შემცირდა. წელს აგვისტოში გზავნილების მოცულობამ 84.4 მლნ აშშ დოლარი, ანუ 195.9 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ფულადი გზავნილების 89.4% თორმეტი უმსხვილესი დონორი ქვეყნიდან კეთდება (იტალია, ესპანეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, რუსეთი, აშშ, თურქეთი, ისრაელი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) და 1 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს.

ყველაზე მეტად დოლარების და ევროების გადმორიცხვამ საბერძნეთიდან იკლო. ამ ქვეყნიდან საქართველოში ფულადი გზავნილები 1,2 მილიონ დოლარამდე შემცირდა (წინა თვესთან შედარებით 3,3 მილიონი დოლარით).

ახლა საბერძნეთის წილი საქართველოს ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში 1.4 პროცენტია, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში კი 13,1 პროცენტი იყო.

საბერძნეთიდან ფულადმა გზავნილებმა კლება ივლისიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანაში კაპიტალის ბაზარზე კონტროლი დაწესდა. ამიტომაც ივლისშივე საქართველოში 8,5 მილიონი ლარით ნაკლები შემოვიდა.

ტრადიციულად საქართველოში საბერძნეთიდან ყოველთვიურად საშუალოდ 13 მილიონი დოლარის ტრანსფერი ხორციელდებოდა.

ამასობაში ლარის გაუფასურებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები, ივლისის მდგომარეობით, 1,735 მლრდ ლარით არის დამძიმებული. „საზოგადოება და ბანკების“ კვლევით, 2014-15 წლებში სესხების მოცულობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ეროვნული ვალუტის გაუფასურებაა. ბიზნეს-სექტორზე გაცემული სესხები 30,8%-ით, კერძო პირებზე გაცემული სესხები 30,2%-ით არის გაზრდილი.

„საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ ეკონომიკა პოლარიზებული, ბიზნესი კი კონცენტრირებულია თბილისში. ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული მოსახლეობის შემცირებული მსყიდველუნარიანობა და ბიზნეს-სექტორის განვითარების შენელება, ეკონომიკისათვის ნაკლები ფულის მიწოდებას გამოიწვევს.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი სოსო არჩვაძე კი აღნიშნავს, რომ თუ ეკონომიკაში არაფერი შეიცვალა, ხოლო ეროვნული ბანკი და მთავრობა ურთიერთგადაბრალების რეჟიმში დარჩა, არსებული ტემპებით ლარის დევალვაცია ისევ გაგრძელდება.

„დევალვაცია ისეთი მასშტაბური აღარ უნდა იყოს, თუ შეგნებულად არ იზრდება ლარის კურსზე ნეგატიური წნეხი. აუცილებელია, ბიზნესის ხელშეწყობა, ექსპორტისა და წარმოების დივერსიფიცირება. მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ ზომიერი პოლიტიკის გატარება და ფულადი მასის კონტროლი. თუკი სები ამის საპირისპიროდ იმოქმედებს, ბუნებრივია, კურსის დაჭერას ვერ შეეძლებთ. მასშტაბური დევალვაციის თავიდან ასაცილებლად ეროვნულმა ბანკმა და ხელისუფლებამ უნდა გააკეთონ ის, რაც ევალებათ. მაშინ მოსახლეობას კურსის დასტაბილურებისა და გამყარების იმედიც გაუჩნდება“, — ამბობს სოსო არჩვაძე.

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბანკო ზედამხედველობის სააგენტო 10 ოქტომბრამდე უნდა შეიქმნას. ლარის კურსის დარეგულირების მიმართულებით ხელისუფლებას ყველაზე მეტად სწორედ ეს სააგენტო ეიმედება.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკიდან საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფასა და ახალი სააგენტოს ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ცვლილებების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უნდა განხორციელდეს. კანონი კი „საკანონმდებლო მაცნეში“ 10 სექტემბერს გამოქვეყნდა.

„კანონი ძალაში უკვე შევიდა. ახლა ჯერი მთავრობაზეა. პარლამენტს უნდა წარმოუდგინოს სააგენტოს საბჭოს წევრობის ნკანდიდატი, რის შემდეგაც მოხდება მათი განხილვა ჯერ კომიტეტებში, მერე პლენარულ სხდომაზე. პროცედურის შესაბამისად,უკვე საბჭოს დაკომპლექტების მერე მოხდება სააგენტოს თავმჯდომარის არჩევა“, — განაცხადა კანონის ავტორმა, დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა.

კანონმდებლობით, საბჭო საფინანსო სექტორის ზედამხედველობის სააგენტოს უმაღლესი ორგანოა, რომელიც 7 წევრისგან შედგება. სააგენტოს საბჭოს ერთი წევრი ეროვნული ბანკის პრეზიდენტია, ერთი წევრი კი ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ხოლო დანარჩენ 5 წევრს პარლამენტს მთავრობა წარუდგენს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო 7 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს. სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით თავად საბჭო ირჩევს. რაც შეეხება უშუალოდ საფინანსო სექტორის ზედამხედველობის სააგენტოს თავმჯდომარეს, მას 7 წლის ვადით საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს.

გეძა დანელია

◎ მიმართვა

ბატონო ირაკლი, ერეკლეობა უნდა გაქაჩოთ!

ღია წერილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრს

— ნახე, კაცო, ამ ჩვენმა პრემიერმა იმ მილიარდნახევრიან ჩინეთში როგორ გაიჯეჯილა?

— რა გიკვირს, შე კაცო, სტალინის წინ მაოძედუნი ლამის დაჩოქილი იდგა.

— ის სტალინი იყო ძმაო!

— მერე რა. ესეც პატარა კახის ჯიშ-გენისაა, მისი სეხნიაა, ვინ იცის, იქნებ უფალმა ამ გაჭირვების ჟამს მხსნელადაც მოგვავლინა!

— შენს პირს შაქარი, ღმერთმა გისმინოს, მაგრამ...

ორი ჭარმაგის გახურებულ დიალოგს შემთხვევა შესწრებულს, რაღაც მეც მეგუმანასავით. სხვა დროსაც ბევრჯერ მსმენია ირაკლი ღარიბაშვილის საქები სიტყვები: შემტევია, მებრძოლია, ალღოიანი და, რაც მთავარია, უღალატო, პატიოსნებითაც გამორჩეულია, თვით მოწამლული, მწარე ნაციონალებიც კი აღიარებენ მის წარმატებულობას.

ჰოდა, ამან ამაღებინა ხელში კალამი.

შემთხვევით არაფერი ხდება, ქვეყნისთვის ამ მძიმე ჟამს უფალმა თქვენ მოგანდოთ ქართველთა ბედი.

იქნებ ისე, როგორც ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეორეს, გიორგი საakაძეს...

ღმერთს არ უნდა, ალბათ, ქართული ჯიშის გადაშენება, ამიტომაც მოგვივლინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ის რომ არა, საქართველო დედაბუდიანად გაყიდული იქნებოდა. ცოტაც და, ჩვენს მიწა-წყალს სახელიღა შერჩებოდა ქართველისა.

ახლა ჯერი თქვენზეა. ამადაც ეიმედებით ხალხს!

არადა, საქართველოს ძალიან უჭირს.

ერთსაც ვიტყვი, ისე როგორც პატარა კახს, დიდ მეფე ერეკლეს, შინაური მტრები კი ჰყავდა, მაგრამ ათჯერ და ასჯერ მეტი გარეშე, ამადაც მთელი სიცოცხლე ხმალჩაუგებლად იბრძოდა.

ბატონო ირაკლი, თქვენ შინაური მტერი მოგმრავლებიათ, თქვენი კი არა საქართველოს მტერი ვაიქართველნი!

გენიალურმა შოთა რუსთაველმა ჯერ კიდევ როდის ბრძანა, „მოყვარე მტერი ყოვლისა მტერთაგან უფრო მტერიაო“.

ალბათ, მიშას ნაცბანდაზე იწინასწარმეტყველა. გენიოსი იმიტომაცაა, რომ სამშობლოს მისალოდნელი საფრთხე წინასწარ განჭვრიტოს.

მტრები კი, გარეშეზე არ ვამბობ, არც მიშისტებზე, ნაცფაშისტებზე, არამედ იმათზე, პატარ-პატარა პარტიები რომ არიან, ორ-სამ კაციანები, ვითომ სამშობლოზე გადაგებულები, მერე არასამთავრობო ორგანიზაციები, კალიებივით რომ შეესევიან ქვეყანას. ყველაზე არ ვამბობ, მათში ნაღდი მამულიშვილებიც არიან, კიდევ ვაიექსპერტები, ნაციონალების რუპორები, რუსთავის სახელის შეურაცხმყოფელი „რუსთავი-2“-ის მუდმივი კლიენტები. ამ ტელეარხს მონამგვანი „მაესტრო“ და კიდევ ქვეწარმავლებივით აფოფრილი მედიასაშუალებები.

ისიც უნდა ითქვას, მოსახლეობას ძალიან უჭირს, უკმაყოფილოთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, რასაც ლარის გაუფასურებაც ხელს უწყობს. ამაში კი ნაციონალების ხელი რომ ურევია, მათი მიმდევრებისაც, ამას წყალი არ გაუვა. არადა ქვეყანა მართლაც უკიდურეს გასაჭირშია. საშინლად აწუხებს უმუშევრობა, რასაც კლიმატური პირობებიც დაერთო.

ბატონო ირაკლი, თქვენ ხშირად აცხადებთ, საქართველო უნიკალური შესაძლებლობების ქვეყანაა. მე მეტსაც ვიტყოდი — ზღაპრული შესაძლებლობების ქვეყანა გვაქვს.

ალბათ, გახსოვთ თქმულება, მამა ღმერთმა თუ რად მიუბოძა ქეიფ-ლხენას გადაყოლილ ჩვენს მითიურ წინაპრებს სათავისო მამული.

ამაში რომ ჭეშმარიტების დიდი წილია, თქმა არ უნდა, ამის მაგალითია მიწის ხვავიანი, საწალკოტე მთაბარი და კიდევ...

ერთ მაგალითს დაგისახელებთ: უკვე მერამდენე წელია, მაღალ ეშალონებში ტრიალებს დიდი მამულიშვილის, აკადემიკოს პაატა გიორგაძის და მისი გუნდის მიერ მეცნიერულად დამუშავებული უნიკალური პროექტი — სასმელი წყლის მიზნესზე.

ამ პროექტის განსახორციელებლად თანხას არ იშურებენ ამერიკელი თუ ებრაელი მილიარდერები. ეს პროექტი, თუ სახელმწიფოს ნება იქნება, უმოკლეს დროში განხორციელდება.

საქართველოს ყველა კუთხე შვებით ამოისუნთქავს. დასაქმდება ასი ათასი ადამიანი, თითოეულის ხელფასი საშუალოდ 1500 ლარი იქნება. სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად 10-12 მილიარდი დოლარით შეივსება...

ამ პროექტს იცნობდა სააკაშვილის ხელისუფლებაც, მაგრამ მათ ეს რატომაც მიჩქმალეს, ეს გასაგებია.

ამ პროექტს იცნობს ბატონი ბიძინა ივანიშვილიც. როგორც ვიცი, ის მხარს უჭერდა, მაგრამ ვერ მოასწრო თავის პრემიერობის ჟამს მისი რეალიზება. ამ პროექტს იცნობთ თქვენც.

ჰოდა, თუ მას განახორციელებთ, საქართველო არათუ არ იქნება მოშიმშილეთა ქვეყანა, არამედ ის ორი მილიონი, საშოვარზე გადახვეწილი ადამიანი დაუბრუნდება თავის ოჯახს. უფრო მეტიც, საქართველო დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარი გახდებაო, ამას მე კი არა მეცნიერები ამტკიცებენ, ამავე დროს დედამიწის 7-მილიარდიანი მოსახლეობის მწყურვალე ნაწილი ძვირფას სასმელ წყალს ისე მიიღებს, რომ საქართველოს ერთი წვეთიც არ დააკლდება.

სხვა მრავალი მაგალითიც შემიძლია ჩამოვთვალო, თუნდაც ფართო მოხმარების საქონელი, რაც უცხოეთიდან, ძირითადად თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ასე უხვად შემოდის, თანაც საეჭვო ხარისხის.

არადა, საქართველოში ის ყველაფერი მზადდებოდა, თანაც მაღალი ხარისხის, მარტო რუსთავის ქარხნები 49 დასახელების ფართო მოხმარების საქონლით ამარაგებდა ჩვენს მოსახლეობას.

და კიდევ ერთი, ამ დღეებში, თქვენ მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ, მილიარდნახევრიანი მოსახლეობის ზეწარმატებული სახელმწიფოს ხელისუფალთ, ხვდებოდით, რასაც, მრავალი, ჩვენზე ბევრად დიდი სახელმწიფოს ლიდერი ინატრებდა, ეს ქართული აბრეშუმიანი მიწის მადლია.

მაშ რა ხდება, რატომ კლავს ერს უმუშევრობა, სიღატაკე, რატომ გახდა ხელისუფლება არა მარტო ნაციონალებისთვის „უნიათო“? ამისთვის ვიბრძოდით?...

ბატონო ირაკლი, უფალი ღმერთი ადამიანს სიცოცხლეში ერთხელ აძლევს შანსს, თქვენ ახლა გაქვთ უნიკალური შესაძლებლობა, საქართველოს საამაყო, ერის გადამრჩენი დიდი ერეკლეს, პატარა კახის ღირსეული მემკვიდრეობისა.

მოგეხსენებათ, ქართველი მეფეები გარეშე და შიდა მტრებს ერთნაირად ებრძოდნენ, ვახტანგ გორგასალი შინაურმა გაწირა. დიდმა დავით აღმაშენებელმა ხომ მუსრი გაავლო შინაურ მტრებს, ერეკლე უფრო მეტად გარე მომხვდურთ ებრძოდა ხმალჩაუგებლად.

ჰა ბურთი და ჰა მოედანიო, რომ იტყვიან ისეა ახლა თქვენი საქმე ბატონო ირაკლი! მაშინ ერი თქვენს გვერდით იქნება და განგადიდებთ. ღმერთი იყოს მფარველი!

პატივისცემით,

გივი ჯაბუა

საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა მსოფლიო ასოციაციის წევრი.

◎ მოსაზრება

ამ სცენარით, შესაძლოა, ნატოში გავწევრდეთ, მაგრამ ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღვადგენთ!..

პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე საქართველოს ნატოში გაწევრების შესახებ საუბრობს. მისი თქმით, გერმანიის მაგალითი, ნატოში გაწევრების შესახებ, საქართველოსთვის გამართლებული არ არის.

საქართველოს აქვს ტერიტორიული პრობლემები, რომლებიც ნატოში გაწევრების შემთხვევაში, შესაძლოა სამუდამოდ მოუგვარებელი დარჩეს.

„გერმანიისთვის ნატოში გაწევრება პრობლემა არ ყოფილა, როცა ისიც საქართველოს მსგავსად ორად იყო გაყოფილი“, — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს ლიტვის თავდაცვის მინისტრის იუზას ოლეკასის მთავარი გზავნილი იყო, თინათინ ხიდაშელთან შეხვედრაზე. ეს „იდეა“ არახალია, იგი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში არაერთხელ გაუხმოვანებიათ, მაგრამ უცხოელი მინისტრის მხრიდან პირველად გაისმა, როგორც „რეკომენდაცია“, რასაც მისი ქართველი კოლეგა „აღფრთოვანებით შეხვდა“?! საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს შემთხვევაში „გერმანული სცენარი“ ზედაპირული განსჯისას მეტად „მიმზიდველია“, ხოლო თუ ღრმა ანალიზს გავაკეთებთ, მაშინ აშკარაა, რომ ამ სცენარს თუ გავყვებით, შესაძლოა ნატოში გავწევრდეთ, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღვადგენთ!.. დიახ, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მავანთა მიერ (საქართველოს შიგნით თუ გარეთ!) „გერმანული სცენარის წამოწევა საქართველოსთვის“, ერთგვარი „თავის გამართლებაა“ იმისთვის, რომ მომავალში განაცხადონ, — აი, ხომ ხედავთ „გერმანული გზით ვიარეთ“ და ნატოში გავწევრდით, მაგრამ ქვეყნის გამთლიანება, ანუ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ვერ შევძელითო!..

ლიტვის თავდაცვის მინისტრის „რეკომენდაციას“ იზიარებენ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები, ამიტომ შევეცდები, რომ მათ საფუძვლიანი და არგუმენტირებული ხედვა დავუპირისპირო, რათა გავაქარწყლო საქართველოს მთლიანობის აღდგენისათვის დამღუპველი „შინაური თუ გარეული რეკომენდაციები“. დარწმუნებული ვარ, რომ) „გერმანული მაგალითი“ საქართველოს გამთლიანებისათვის არ გამოდგება, მეტიც, იგი გამორიცხავს ამის შესაძლებლობას! რატომ? იმიტომ, რომ გერმანიის შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა პოლიტიკურ, ეთნიკურ, ფსიქოლოგიურ კონტექსტთან. დიახ, მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, ეთნიკურად ერთიანი გერმანელი ერი ორად იყო გაყოფილი გარეშე ძალების მიერ, რომლის საფუძველი „იდეოლოგია“ გახლდათ (გფრ — დემოკრატიული, თავისუფალი სამყარო და გდრ — საბჭოთა, კომუნისტური ბლოკი), და რაც უმთავრესია, — არანაირი ეთნიკური სეპარატიზმი გერმანიაში არ არსებობდა!! ქართველ პოლიტიკოსებს „ხშირად ავიწყდებათ“, რომ საქართველოში არსებულ ოსურ და აფხაზურ სეპარატიზმს რუსეთი კვებავდა წლების მანძილზე და ამ ეთნიკური სეპარატიზმის პერმანენტული ინსპირირება მანვე მოხერხებულად გამოიყენა და დღეს, სწორედ ამ ხალხების სეპარატისტულ განწყობებზე „დგას“ რუსული სამხედრო საოკუპაციო ბაზები საქართველოს ორივე რეგიონში! რუსეთს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის „დამოუკიდებლობა აღიარებული“ აქვს, რასაც ადგილი არ ჰქონდა გერმანიის ტერიტორიაზე, არც დემოკრატიულ გფრ-ში და არც სოციალისტურ გდრ-ში!..

ხიდაშელის და მისი თანამოაზრეების „აღფრთოვანება“ ლიტვის თავდაცვის მინისტრის „რეკომენდაციასთან“ დაკავშირებით, არც არის გასაკვირი, რადგანაც მათი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში ზუსტად ემთხვევა ნაცმოძრაობის ხედვას, როცა ისინი იყვნენ ხელისუფლებაში. ნაციონალები არც მალავდნენ და შესაძლებლად მიაჩნდათ ის ვარიანტი, რომ საქართველოს ტერიტორია, რომელსაც აკონტროლებდა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება „გაწევრებულიყო“ ნატოში, ხოლო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, — რუსეთის „დაშლის შემდეგ“! დიახ, ამ “ვარიანტთან“ დაკავშირებით ერთ-ერთმა მათგანმა (თუ არ ვცდები, დ.ბაქრაძემ) განაცხადა, რომ — „გერმანიაც ასე იყოო გაყოფილი და „მერე გაერთიანდაო“ (სსრკ რომ დაიშალაო, ანუ, საქართველოს შემთხვევაში რუსეთის „დაშლას“ უნდა ველოდოთო!)!?.. ეტყობა, ვერც ნაცმოძრაობის ლიდერები „ხვდებოდნენ იმას“, რომ, ვიმეორებ, — გერმანიის შემთხვევაში ერთი ერი იყო ორად გაყოფილი გარეშე ძალების მიერ, და არანაირი ეთნიკური სეპარატიზმი გერმანიაში არ არსებობდა და საუკუნეც რომ გასულიყო, ერთიანი გერმანელი ერი მაინც გააერთიანებდა გერმანიას!.. ჩვენს შემთხვევაში კი, მავანს „ავიწყდება“, რომ სეპარატისტ აფხაზებს და ოსებს არანაირი სურვილი არა აქვთ, რომ „შემოგვიერთდნენ ერთიან საქართველოში“ და მათი „აზრით“, ჩვენთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისინი „თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ“?!.. მოკლედ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნატოში „ამდაგვარი რეკომენდაციით“ გაწევრება საქართველოს ხელისუფლებას (ქართველ ხალხს!) სამუდამოდ დააკარვინებს ქვეყნის გამთლიანების, ანუ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების შანსს!!!...“

ჯუმბერ კირვალიძე

ოპოზიცია იმუქრება, ხელისუფლება დუმს

ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებული ოპოზიციური სპექტრი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით იმუქრება, მმართველი გუნდი კი, მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას არ ჩქარობს და საარჩევნო სისტემაში გატარებულ წარმატებულ რეფორმებზე აპელირებს.

ოპოზიცია საარჩევნო რეფორმებზე საუბრის მიზნით, უმრავლესობას ინტერპარტიული კომისიის შექმნას და მის ხელმძღვანელად პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის დანიშვნას სთავაზობს. საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნული კომისიის შექმნას „თავისუფალი დემოკრატები“ მოითხოვენ, მაგრამ დიდი ალბათობით, მსგავსი კომისია არ შეიქმნა, რადგან კოალიცია საარჩევნო კოდექსში ძირეული ცვლილებების მომზადებას 2020 წლისთვის აანონსებს.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი **გიორგი ახვლედიანი** მმართველ გუნდს წინასაარჩევნო დაპირებებს ახსენებს და for.ge-სთან საუბარში ამბობს, რომ ხელისუფლებამ დამალობანას თამაში უნდა დაასრულოს და ჩირგვებიდან გამოვიდეს.

მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ თავისი დაპირებები აღარ ახსოვს, როცა ხალხს ჰპირდებოდა, რომ საარჩევნო სისტემას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეცვლიდა.

„შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, პოლიტიკური პარტიები ბოიკოტის რეჟიმში არიან და ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რომ ასეთი არჩევნები „კომუნისტური პარტიის“ შემდეგ აღარ ჩატარებულა. მმართველი გუნდი საკუთარ დაპირებებს უტიფრად ექცევა და ამისთვის მას ბევრის გადახდა მოუწევს“, — აცხადებს ახვლედიანი.

ახვლედიანის განცხადებით, კოალიციაში შემავალი პარტიები საარჩევნო რეფორმის გატარების მიზნით, ხმალამოღებული იბრძოდნენ და შიმშილობდნენ, ახლა კი, ისინი საკუთარი პოზიციების წინააღმდეგ გამოდიან.

„კოალიციას სურს, ამ უსამართლო სისტემით ოთხი წლის ვადით ხელისუფლება მოიპაროს და ამას გვემათხოვრებიან“, — აღნიშნავს ახვლედიანი, რომლის პოზიციას იზიარებს ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე **ზურაბ ხარატიშვილი,** რომელიც for.ge-ს ოპოზიციის მოთხოვნებს აცნობს.

ხარატიშვილის ცნობით, ოპოზიცია ითხოვს, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ინტერპარტიული კომისია შეიქმნას, რომელიც ყველა იმ საკითხზე იმუშავებს, რომელიც როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების მხრიდან არსებობს.

მისი მოსაზრებით, 2016 წელს, მაჟორიტარული სისტემა უნდა გაუქმდეს და 75 დეპუტატი საერთო პროპორციული წესით უნდა იქნეს არჩეული, ხოლო მეორე 75 — სამხარეო პროპორციული წესით.

ოპოზიციის მოთხოვნებს „ახლების“ წარმომადგენელი **მამუკა კაციტაძეც** უერთდება, რომლის ტონიც უფრო რადიკალურია. for.ge-სთან საუბარში კაციტაძე ამბობს, რომ თუკი ხელისუფლება საარჩევნო საკითხებზე შეუსმენელის და დაყრუებულის პოზიციაში დარჩება, ოპოზიცია პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა ფორმას მიმართავს.

კაციტაძე პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს არ ამხელს, მაგრამ ამბობს, რომ ამას ხელისუფლება და საზოგადოება პროცესში დაინახავს.

არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნებს საპარლამენტო ოპოზიციაც უერთდება. მათ შორის არიან ყოფილი ნაციონალებიც. როგორც for.ge-ს ოპოზიციონერმა დეპუტატმა **პავლე კუბლაშვილმა** განუცხადა, მისი გუნდი მზადაა, ყველა სახის დისკუსიაში მონაწილეობა მიიღოს.

მისი ინფორმაციით, „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ საარჩევნო სისტემის არსებული ვარიანტის შენარჩუნებას მხარს არ დაუჭერს.

ოპოზიციისგან განსხვავებით, მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება 2016 წლის არჩევნებისთვის ვერ მოესწრება, მიზეზი კი — დროა.

კოალიციაში საარჩევნო საკითხებზე გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **გია ჟორჟოლიანიც** მუშაობს, რომელიც for.ge-სთან საუბარში იმით ინტერესდება, ოპოზიციურ გაერთიანებაში რომელი ძალები შედიან.

ჟორჟოლიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება საარჩევნო რეფორმაზე ხალხს უნდა მოეთათბიროს და არა იმ პარტიებს, რომელთაც ხალხმა ხმა არ მისცა.

კანონმდებლის განმარტებით, კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებები ერთი წლით ადრე უნდა შეიტანო, რომ ხალხმა გააცნობიეროს, საქმე რასთან აქვს.

„ისეთ მაჟორიტარულ არჩევნებს მივიღებთ, რომელიც დამახასიათებელია ამერიკისთვის, საფრანგეთისთვის და ინგლისისთვის. თუკი ამ ქვეყნების სისტემა არ ვარგა, მაშინ დემოკრატია არ ვარგებულა, რადგან დემოკრატია ამ ქვეყნებშია“, — აცხადებს ჟორჟოლიანი, რომლის მსგავსად, **ზაქარია ქუცნაშვილი** ოპოზიციონერებს ახსენებს, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არ შიმშილობდნენ.

როგორც for.ge-ს ქუცნაშვილმა განუცხადა, საარჩევნო რეფორმა რამდენიმე მიმართულებით არის გასატარებელი.

დეპუტატი თვლის, რომ პარტია „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციის შენიშვნა არ ეკუთვნის, რადგან 2008 წელს, საარჩევნო ცვლილებების მომზადების მიზნით, ამ პარტიის წევრები აქციებს არ მართავდნენ.

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** მაჟორიტარული სისტემის გაუქმების წინააღმდეგია და for.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე, შეიძლება ისეთი ვითარება იყოს, რომ „თბილისური პარტიები“ შეიქმნას.

მისი თქმით, ის ბორჯომში, ოპოზიციის ყველა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და რაიონული დონის პოლიტიკის აქტივისტი იყო.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ მაჟორიტარული სისტემა არც 2020 წელს უნდა გაუქმდეს.

უმრავლესობა საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, ოპოზიციის რეკომენდაციებს გაიზიარებს თუ არა, პროგნოზირება რთულია, მაგრამ კოალიციას „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების ინიცირება ჯერჯერობით არ მოუხდენია და პარლამენტში შესაბამისი პროექტიც არ წარუდგენია.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ბაკურიანში პირველი აკვა-პარკი აშენდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაბა ბაკურიანს ეწვია და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა, მათ შორის დიდველზე მიმდინარე სამუშაოები.

მინისტრმა საპროექტო ტერიტორია მოინახულა, სადაც მრავალფუნქციური გამაჯანსაღებელი კომპლექსი აშენდება.

როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, ინვესტორს სურვილი აქვს, ააშენოს აკვა-პარკი, ველნესცენტრი და ფიტნესცენტი.

„პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სრიალის შემდგომი დასვენების ადგილები გაჩნდეს ბაკურიანში. ეს არის განვითარების შემდეგი ფაზა იმისთვის, რომ დამსვენებლებმა სრიალის შემდგომ თავისუფალი დრო შინაარსიანად გაატარონ“, — აღნიშნა მინისტრმა.

შეთანხმება შედგა ინვესტორთან და გაკეთდება აღნიშნული მიწის ნაკვეთის გენერალური განაშენიანების გეგმა, რომელიც შემდეგში საინვესტიციო ხელშეკრულებას დაერთვება. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ეს მეტი რწმუნება იქნება სახელმწიფოსთვის, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე განაშენიანება მოხდება არა ქაოტური, არამედ მიზანმართული და წინასწარშეთანხმებული გეგმით. აკვა-პარკი პირველ ეტაპზე ერთდროულად მიიღებს 500-600 ადამიანს, თუმცა, როგორც ინვესტორმა აღნიშნა, ბაკურიანის ბუნება და ლანდშაფტი უნიკალურია სპორტსმენებისთვის და არამარტო აკვა-პარკის, არამედ სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის საშუალებასაც იძლევა — გასართობ-დასასვენებელი, სავაჭრო და საბავშვო ცენტრების, ასევე სასტუმრო კომპლექსის, საკონფერენციო დარბაზების, ფიტნესის სპეცდარბაზების და ა.შ.

ბორჯომში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელ ყვიბისში საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით, მოხდება ბაღში არსებული ყველა ოთახისა და სველი წერტილების მოწესრიგება. სრულად შეიცვლება კარფანჯრები, გამოიცვლება დაზიანებული იატაკი და ჭერი, მოპირკეთდება კედლები და გარე ფასადი. საბავშვო ბაღი აღიჭურვება ყველა საჭირო ინვენტარით.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიმიტრი ყიფიანის განცხადებით, პროექტით გათვალისწინებულია ასევე საალმზრდელო დაწესებულების ეზოში სათამაშო ადგილის მოწესრიგება და მისი საბავშვო ატრაქციონებით მოწყობა. ამ ეტაპზე დასრულებულია კედლებისა და გარეფასადის ლესვითი სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს ოთახებში იატაკის მოჭიმვა. რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი ახალ გარემოში 70 აღსაზრდელს უმასპინძლებს.

სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 101 997 ლარი გაიხარჯება. გამგებლის განმარტებით, ტენდერია გამოცხადებული დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის ჩასატარებლად, რომლის შემდეგად კიდევ ერთი განახლებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეემატება ბორჯომს.

ახმეტა სეტყვას გადაურჩა

სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ინფორმაციით, ახმეტის რაიონში სეტყვასაშიში ღრუბლის კერა წარმატებით განეიტრალდა. „დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის მიერ 15 სექტემბრის 22:00 საათიდან კახეთის რეგიონში ახმეტის რაიონის თავზე ჩრდილო-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებთ შემომავალი მეოთხე კატეგორიის სეტყვის ღრუბელი დაფიქსირდა, საერთო ფართობით 185 კმ2.

სეტყვის მოსვლის ალბათობა 80% იყო, მოსალოდნელი მარცვლების ზომა კი 40 მმ-მდე. 22:31 საათიდან 22:44 საათამდე ღრუბელზე სარაკეტო ზემოქმედება სამჯერ განხორციელდა. გასროლილი იქნა 16 ერთეულამდე სეტყვაწინააღმდეგო რაკეტა, შედეგად ახმეტის რაიონში სეტყვასაშიში ღრუბლის კერა მთლიანად განეიტრალდა და დაიშალა.

ერიდეთ საეჭვო წარმომავლობის კომპანიებსა და თაღლითებს

„სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ბიზნესოპერატორებს, თავი შეიკავონ მათთან თანამშრომლობისაგან და ნებისმიერი პირის ვიზიტის შემთხვევაში, მოითხოვონ იდენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დაუკავშირდნენ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

სურსათის ეროვნული სააგენტო არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე და ნებისმიერი სხვა პირისა თუ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სერვისები არის მხოლოდ პირადი ინიციატივა და არა სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა.

სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს ბიზნესოპერატორებს, ნებისმიერი საეჭვო შეთავაზების შემთხვევაში, დარეკონ სააგენტოს ცხელ ხაზზე: 291 91 68“, — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

ინტერპრესი

ქართული ვაზის მესაიდუმლე და ქომაგი

ჩვენი დროის ღვაწლმოსილ, გამოჩენილ მეცნიერს, ამაგდარ მევენახეს, ქართული ვაზის მოჭირნახულეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს, დოქტორს, პროფესორს, მევენახეთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, დამსახურებულ აგრონომს ნოდარ ჩხარტიშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა, მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ვაზის სიყვარულს, ეროვნული დარგის მევენახეობა-მეღვინეობის – მომავლისათვის შრომასა და ძიებას მიუძღვნა.

„სიცოცხლის ხედ“ წოდებული ქართული ვაზის მოვლა-მოყვანის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნების, მათზე დაყრდნობით თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვის საქმეს 60 წელზე მეტია, დიდი სიყვარულით ემსახურება ჩვენი საამაყო თანამემამულე, ღირსეული მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი. ბატონი ნოდარი ჭეშმარიტად არის „ქართული ვაზის მესაიდუმლე და ქომაგი“ და ამ ეპითეტით იცნობს მას სრულიად საქართველო.

ნოდარ ჩხარტიშვილი ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს, ისტორიულ სოფელ ჯუმათში, ქართული ტრადიციების მქონე დიდ, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს. 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის (აჭარა) ზონის აგრონომად. იმავე წლის ბოლოს ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში მევენახეობის კათედრაზე; 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამავე წელს დაინიშნა ასისტენტის თანამდებობაზე, მუხრანის სასწავლო მეურნეობაში მევენახეობის განყოფილების გამგედ. ასეთი ინტენსიური დატვირთვით დაიწყო მისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც ძირითადად დიფერენცირებული, ჯიშური აგროტექნიკის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებას მიეძღვნა. მისი უშუალო მონაწილეობითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით დამუშავდა ჯიშური და მიკროზონალური აგროტექნიკის შემუშავების ძირითადი პრინციპი და რეკომენდაციები, შესწავლილი იქნა ქართული აბორიგენული, უნიკალური ვაზის ჯიშების – ჩხავერის, ოჯალეშის, ალადასტურის, გორული მწვანის, საფერავისა და სხვების აგრობიოლოგიური თვისებები.

აკად. ნოდარ ჩხარტიშვილი მევენახეობის იმ ქართული სკოლის აღზრდილი და ღირსეული გამგრძელებელია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსმა, პროფესორებმა სოლომონ ჩოლოყაშვილმა, ნიკოლოზ ხომეზურაშვილმა, სერგი დურმიშიძემ, ვალერიან ქანთარიამ და მაქსიმე რამიშვილმა. ბატონი ნოდარის მოღვაწეობაც სწორედ რომ ამ სასიქადულო მამულიშვილების ანდერძის – „თითოეული ქართული ვაზის ჯიში ისტორიული ძეგლია,“, ჩვენი ვალია დავიცვათ, განვავითაროთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ისინი“ – ასრულებას ემსახურება.

1973 წ. სექტემბრიდან ბატონი ნოდარი დააწინაურეს და 1974 წლის მაისამდე მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ხოლო 1974წ. აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგედ, დოცენტად, პროფესორად.

1975 წელს დაინიშნა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად და ღირსეული მამულიშვილი 30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა მას. მიმაჩნია, რომ ძალიან გაუმართლა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტს, რომ მის სათავეში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იდგა მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება და დარგის ბრწყინვალე მცოდნე, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა ინსტიტუტის ავტორიტეტი, რაც შეუქმნეს სასიქადულო მამულიშვილებმა, დიდმა მეცნიერებმა, დაწყებული ინსტიტუტის დამფუძნებლიდან და მისი პირველი ხელმძღვანელიდან – აკადემიკოსს სოლომონ ჩოლოყაშვილიდან.

თაობათა სინქრონული, თანამიმდევრული შემოქმედებითი შრომის შედეგად გამოყვანილია ვაზისა და ხეხილის 50-ზე მეტი ახალი სელექციური ჯიში: ქართული საადრეო, კოლხური, ვარძია, ივერია, თბილისური, რქაწითელი, მუსკატური და სხვა; გამოვლენილია 30-ზე მეტი სამრეწველო ვაზის ჯიშის გაუმჯობესებული კლონი; გამოყვანილია 50-ზე მეტი ხეხილოვანი კულტურის ახალი ჯიში; დამუშავებულია ვაზისა და ხეხილის ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიები; ვენახისა და ხეხილის გაშენება-მოვლის მაღალინტენსიური ტექნოლოგიები და მობილური ტექნიკა; პერმანენტულად ხორციელდებოდა სამრეწველო ასორტიმენტის გაუმჯობესება-განახლება; ქართული ვაზის მსოფლიოში უმდიდრესი გენოფონდის დაცვის ღონისძიებები და სხვა;

ნოდარ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ინსტიტუტის წიაღში დამუშავდა და 1998 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“; დამუშავდა ასევე დარგის განვითარების გრძელვადიანი კონცეფციები; შემუშავებულია ყურძნისა და ხილის გადამუშავების ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიები; დადგენილია 20-მდე დასახელების ადგილწარმოშობის ქართული ღვინოების წარმოების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი პარამეტრები.

1998 წელს ნოდარ ჩხარტიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილ წევრად და მისი მოღვაწეობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. აკადემიკოსმა დიდი საკვლევაძიებო სამუშაო ჩაატარა ვაზის სარგავი მასალის წარმოების სფეროში; დაამუშავა ნამყენი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიური მეთოდები და სქემები, რისთვისაც სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ნოდარ ჩხარტიშვილს თავის მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავად მიაჩნდა ქართული ვაზის ჯიშების, მსოფლიოში უმდიდრესი გენოფონდის გადარჩენა და ამას მიაღწია კიდეც. მისი თაოსნობითა და მცენარეთა გენოფონდის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „იპგრის“ მხარდაჭერით, ინსტიტუტის თბილისის ექსპერიმენტულ ბაზაზე (ვაშლიჯვარი) 400-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში იქნა თავმოყრილი. 150 ქართული ვაზის ჯიში გაშენდა იტალიის საერთაშორისო კოლექციაში და 200-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში დარეგისტრირდა საერთაშორისო კატალოგში. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმის გვირგვინად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წელს იტალიაში (მილანის უნივერსიტეტში) დაბეჭდილი კაპიტალური, 1000-გვერდიანი წიგნი – „ვაზი და ადამიანი“ (აღმოსავლური ამპელოგრაფია), რომელშიც პირველად გამოქვეყნდა რუკა, სადაც საქართველოს ტერიტორია აღიარებულია კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის პირველად კერად, საიდანაც იღებს სათავეს „ვაზის გზა“ დასავლეთითა და აღმოსავლეთით. საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ამავე წიგნში დახასიათებული და ილუსტრირებულია 150 ქართული აბორიგენული ვაზის ჯიში და მოცემულია ვრცელი ინფორმაცია ქართული მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ (თანაავტორები ბრძანდებიან ნოდარ ჩხარტიშვილი და ნუგზარ ცერცვაძე). იგივე წიგნი მეორედ გამოიცა 2009 წელს იტალიურ და ინგლისურ ენებზე; 2011 წელს ავტორებს მიენიჭათ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრემია.

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 200-მდე მეცნიერულ ნაშრომსა და მონოგრაფიაშია ასახული. მათ შორის 20-მდე რამდენიმე უცხო ენაზე გამოიცა. იგი 20-მდე გამოგონების ავტორია. მრავალი წელია, ბატონი ნოდარი არჩეულია მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის ენციკლოპედიებისა და ამ დარგების უცხოური და ქართული ჟურნალების რედკოლეგიების უცვლელ წევრად.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად აკადემიკოსი დიდ ყურადღებას უთმობდა (და ამჟამადაც ასეა) დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი აღზრდილია არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი. 1977 წლიდან 2010 წლამდე იყო ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ნოდარი კვლავ აგრძელებს აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი 2007 წლიდნ დღემდე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ამავე უნივერსიტეტში აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო საბჭოს წევრია.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა ნ. ჩხარტიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ბატონი ნოდარი დაჯილდოებულია მედლით შრომითი მამაცობისათვის; საპატიო ნიშნის ორდენით; ღირსების მედლით და ღირსების ორდენით;

მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით დარგში შეტანილი წვლილისათვის აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი 2014 წელს დაჯილდოდა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით“, რომელიც მას პირადად გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად ბატონმა ნოდარმა ბრწყინვალე ოჯახი შექმნა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ნოდარის ცხოვრების თანამგზავრი – მისი მეუღლე დუდანა ალაშვილი – მომხიბლავი გარეგნობის, დარბაისელი ქალბატონი. ბატონი ნოდარის ქალიშვილი – ნინო მამის კვალს გაჰყვა, იგი ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი და ორი შვილის დედაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

რედაქციისგან:

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მთელი სულითა და გულით ულოცავს აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს სახელოვან საიუბილეო თარიღს და უსურვებს, რომ თავის საუკუნოვან იუბილეს ამჟამინდელი სიმხნევით, ტანსიმრთელით, გულსიმართლითა და ნათელი გონებით შეხვედროდეს! ყველა თავის კეთილმოსურნესთან ერთად, რასაკვირველია!

◎ ალმა-მატერი

თსუ ლიდერთა შორისაა და არამარტო საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტთა 5%-ში მოხვდა. ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ უნივერსიტეტში ორი წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენის დროს განაცხადა.

ვლადიმერ პაპავამ მისი რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელებულ სიახლეებზე, ინოვაციებზე და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინა. რექტორმა მთავარი სიახლეებიდან გამოყო ის, რომ თსუ კვლავ რჩება საქართველოში უნივერსიტეტებს შორის ლიდერთა შორის. რექტორის განცხადებით, ამას აფასებენ თავად აბიტურიენტები და მათი მშობლები. კერძოდ, 39 000 აბიტურიენტიდან 10 000 აბიტურიენტმა პირველი ადგილი თსუ-ს მიანიჭა ეროვნულ გამოცდებში უნივერსიტეტების შემოხაზვის დროს. წელს უნივერსიტეტმა 3 600-მდე სტუდენტი მიიღო, მათგან 80%-ს სახელმწიფო გრანტი აქვს. ვლადიმერ პაპავას ინფორმაციით, უნივერსიტეტში ეროვნული გამოცდების კომპეტენციის ზღვარი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა უნივერსიტეტებში და მაღალი ქულის მქონე სტუდენტები ირიცხებიან.

მიღწევათა შორის რექტორმა ასევე დაასახელა ე.წ. გრაკლიანის გორაზე ახალი არტეფაქტის აღმოჩენა, რომელმაც შეიძლება მსოფლიო დამწერლობის გარკვეული ეტაპის გადახედვა გამოიწვიოს და ეს აღმოჩენა პროფესორ ვახტანგ ლიჩელს და უნივერსიტეტის სტუდენტების ჯგუფს ეკუთვნის.

ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა საერთაშორისო რეიტინგების შესახებ, რომლითაც უნივერსიტეტი გამორჩეულია. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ არსებობს სარეიტინგო სააგენტო, რომლის ელექტრონულ ბაზაში დაახლოებით 24 000-მდე უნივერსიტეტია თავმოყრილი. პაპავას თქმით, მარტში გამოქვეყნებული ამ რეიტინგების თანახმად, სახელმწიფო უნივერსიტეტი 2006-ე ადგილზე იყო, იგი ლიდერობდა საქართველოში უნივერსიტეტთა შორის და ასევე კავკასიაშიც. გარკვეული სტრუქტურული რეფორმების გატარების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეიტინგმა ამ ბაზაში აიწია და დღეისთვის უნივერსიტეტი 830-ე ადგილზეა. პაპავას განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო საუკეთესო უნივერისტეტთა 5%-ში მოხვდა.

ანგარიშის დროს პაპავამ ასევე ისაუბრა სხვა საერთაშორისო რეიტინგებზეც, კერძოდ, იმ რეიტინგზე, რომელიც უნივერსიტეტების სამეცნიერო საქმიანობას აფასებს. ამ რეიტინგის მიხედვითაც უნივერსიტეტი მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტში ხვდება, კერძოდ, იგი 985-ე ადგილზეა.

ინტერპრესი

გული როგორ არ გერევათ მაგათთან ჯდომა-ყოფნითა?!

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (ანუ „სპა“ — სპა ხომ ძველ ქართულად ლაშქარს ნიშნავს?), პოლიტიკური პარტია, რომელიც ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის ბაზაზე შეიქმნა, მოძრაობის, რომელიც სააკაშვილის სისხლიანი ტერორის ზეობის ჟამს დავით თარხან-მოურავის და ირმა ინაშვილის თაოსნობით დაიწყო და სწორედ წინააღმდეგობის მოძრაობა აღმოჩნდა, სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტურ-სადისტური რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მესაფლავე... 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ რომ არა მათ მიერ მოპოვებული საშინელი, ე.წ. ციხის კადრები, მიუხედავად ბიძინა ივანიშვილის ფაქტორისა, დღეს სააკაშვილი შეიძლება ისევ პრემიერ-მინისტრი ყოფილიყო, ხოლო მისი ნაცმოძრაობა — პარლამენტის უმრავლესობა!

ეს რომ ასეა და არა ჩემი სიმპათია-ანტიპათიებიდან გამომდინარე სუბიექტური განწყობაა, უეჭველია ოდნავად მაინც ანალიტიკური აზროვნების მქონეთათვისაც, რომლებიც, ალბათ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ!..

რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ე.წ. პოლიტიკურ ისთებლიშმენტზე...

არა, მათ უმრავლესობას აზროვნების და ანალიტიკის დეფიციტს ვერ დავწამებ. აქ უფრო ქართველთა განუკურნებელ სენთან — „უჩემოდ ვინ იმღერეთა“-სთან გვაქვს საქმე — პოლიტიკურ სპექტრს გაუჭირდა იმის აღიარება, რომ რაც მათ ვერ (თუ იქნებ არ) შეძლეს, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს პოლიტიკური საფლავი სწორედ ირმა ინაშვილის და დავით თარხან-მოურავის ტანდემმა გაუთხარა!

ხოლო ბიძინა ივანიშვილმა, იმის მაგივრად, რომ თუნდაც სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი ათიათასობით შემზარავი ფაილის გასაჯაროებით პოლიტიკური სამარისთვის გახაზირებული მიშნაცებისთვის მიწა მიეყარა, პოტომაკის ნაპირებიდან „ჰუმანური“ მოსაზრებებით (არიქა, ცოდოა ქართველი ხალხი, როგორ შეიძლება იმ საზარელი კადრების საზოგადოებისთვის ჩვენებაო!) ნაკარნახევ შანტაჟს დაექვემდებარა, ფაილები საზეიმო ვითარებაში გაანადგურებინა და კოჰაბიტაცია წამოიწყო?!

ჰოდა, ამიტომაც გვაქვს დღეს ის, რაც გვაქვს:

პოლიტიკურად „დევნილი“ და ამიტომ დასავლეთის მიერ (წაიკითხე აშშ) უპირობოდ მხარდაჭერილი „მთავარი ოპოზიციური პარტია“, — ნაცმოძრაობის და მისი, ქართველთა სისხლში ამოთხვრილი ლიდერების ჯერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნიდან მოხსნა და შემდეგ ჩვენს „მეგობარ უკრაინაში“ (წინწკლები უკრაინის ხელისუფლებას ეკუთვნის და არა მართლაც ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს) ოდესის გუბერნატორ სააკაშვილის თამადობით უკრაინის საკვანძო თანამდებობებზე უკრაინისთვის, ალბათ, დამღუპველი, ხოლო საქართველოსთვის ყოველგვარი ალბათობის გარეშე, შეურაცხმყოფელი დანიშვნები მოჰყვა;

ამას მოჰყვა აგრეთვე გიორგი მარგველაშვილის იმ ქვეყნის პრეზიდენტად წამოსკუპება, რომლის აბორიგენი ქართველი ერი დებილად მიაჩნია;

დავით ნარმანიას თბილისელებისთვის მერად და ერთსქესიანი ქორწინებების აპოლოგეტ, ბუდარიხა თამარ კორძაიას ნაძალადეველებისთვის დეპუტატად ნაძალადევი „შეტენვა“;

რესპუბლიკური პარტიისთვის, ამ ისტორიულად ანტიქართული ძალისთვის, რომელიც ვაშინგტონში უმაღლესი რეიტინგის მქონეა და, აქედან გამომდინარე, საქართველოში არა მხოლოდ პლინტუსს ქვემოთ რეიტინგის მქონე, არამედ ქართველთა უმრავლესობისთვის საძულველი პარტიისთვის, პრაქტიკულად მთელი ხელისუფლების გადაბარება;

იქნება ამის გამოც რუსეთის მიმართ გაუბედავი, უგერგილო პოლიტიკა, რომელიც თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად აღზევების შემდეგ, წარსულში საქსოვი ჩხირებით შეიარაღებულ და ახლა ვეტოთი შეჭურვილ პრეზიდენტთან ტანდემში, ოფიციალური თბილისის რიტორიკა რუსეთის მიმართ სულ უფრო გამომწვევი და აგრესიული ხდება და ა.შ. სხვა მრავალი...

აი, ეს ზემოთ თქმული მიმაჩნია ბიძინა ივანიშვილის მთავარ, დანაშაულის ტოლფას შეცდომად და არა ლარის კურსი თუ სხვა ეკონომიკურ-სოციალური, სუბიექტური თუ ობიექტური პრობლემები, რომლებიც მოსახლეობისთვის ერთობ მტკივნეულია და აქედან მათზე ღიად სპეკულირებენ ჩვენთვის კარგად და დიდი ხნის ნაცნობი, პერმანენტულად ხელმოცარული პოლიტიკური პარტიები, რითიც ნებსით თუ უნებლიეთ (ალბათ, უფრო ნებით და შეგნებულად), მოსახლეობის იმ ნაწილის თვალში, რომელსაც ამნეზია დამართნია და დაავიწყდა თუ სად, რა საშინელ რეჟიმში ვიცხოვრეთ 9 წელიწადი?!

აქედან გამომდინარე, ივანიშვილის ლანძღვით მოხიბლული ობივატელის საპირწონედ ერთ რიტორიკულ შეკითხვას დავსვამ ქართველი საზოგადოების გონიერი ნაწილის წინაშე:

2012 წლის 30 სექტემბერს, ანუ, 1 ოქტომბრის არჩევნების წინ, რომ გვცოდნოდა, არც მეტი, არც ნაკლები, დღეს ზუსტად ის იქნებოდა, რაც გვაქვს: „უნარიანი“ ნაცების ლექსიკით, უუნარო მთავრობა და ა.შ. ყველა ზემოთ თქმული თუ ართქმული ცოდვები, დანაშაულები თუ შეცდომები არსებული ხელისუფლებისა, მაინც ვის მივცემდით ხმას, ქართულ ოცნებას თუ?..

პასუხი ყველა ნორმალური ადამიანისთვის, ალბათ, ერთადერთია — მაინც ქართულ ოცნებას! რადგანაც დათა თუთაშხიას ნათქვამის პერიფრაზით — სააკაშვილსა და მის ჟანდარმებს ყველაფერი რომ აჯობებდა მაშინაც ვიცოდით და ახლაც, მხოლოდ ბრიყვი ან იდეური მიშარასტი თუ იტყვის — ქოცებს ისევ ნაცები ჯობდნენო!..

ჰოდა, აბა რა გვინდა — ბიძინა ივანიშვილმა რაც შეძლო, გააკეთა. სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი მოგვაშორა, რისთვისაც დიდი მადლობა მას და აწი დანარჩენი ჩვენ, ქართველმა საზოგადოებამ გავაკეთოთ.

ამიტომ მეც, პოპულისტ სპეკულიანტებს, რომ არ დავემსგავსო, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ბავშვის ნაბან წყალს ბავშვიც რომ არ გადავაყოლო, ანუ, ასე თუ ისე საძულველი ნაცების წისქვილზე წყალი მეც რომ არ მივუშვა, ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას აქ შევწყვეტ და წერილის მთავარ თემას დავუბრუნდები...

შუალედური არჩევნების ბოიკოტს შემდეგი პარტიები უერთდებიან:

ნინო ბურჯანაძის გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა; შალვა ნათელაშვილის ლეიბორისტული პარტია; ძველი პოლიტიკური თითლიბაზი მამუკა კაციტაძის ახალი მემარჯვენეები; კახა კუკავას თავისუფალი საქართველო; ბაჩუკი ქარდავას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; პაატა დავითაიას ევროპელი დემოკრატები; კაკო ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირი; ირაკლი ალასანიას თავისუფალი დემოკრატები; გიორგი თარგამაძის, იგივე გალსტუკიანი ხვლიკის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია; მიშა სააკაშვილის ნაცები; პალიკო კუბლაშვილის ნაცებისგან ვითომ გამიჯნული რეფორმატორები; სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის და ძალოვან ვეტერანთა პოლიტიკური მოძრაობა...

დავაკვირდეთ, ვინ არიან ეს პარტიები თუ მათთან ასოცირებული პირები?

ბოლო ორი სუბიექტის არსებობის შესახებ პირადად მე მხოლოდ ახლა შევიტყვე, ხოლო რაც შეეხება დნარჩენებს (ნინო ბურჯანაძის და ირაკლი ალასანიას გამოკლებით — მათზე ქვემოთ და უფრო გამოწვლილვით), ძირითადად ეს ის ხალხია, ვინც უკეთეს შემთხვევაში პერმანენტულად ხელმოცარული, ხოლო უარესში, მიშა სააკაშვილის რეჟიმის შეფარულ-აშკარა „გამპრავებელი“ იყო და დღესაც ასეა!

ეს ის ხალხია, ვისაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისას, რბილად რომ ვთქვათ, იგნორი გაუკეთა, რეალურად „გაკრიფა“ ქართული პოლიტიკიდან, პარლამენტსა თუ სხვა სახელისუფლო შტოებში ლამის პრივატიზებული სავარძლები ჩამოართვა და აქედან ამ ხალხის ბოიკოტის თუ ზოგადად კბენა-ღრენის სუბიექტური მოტივებიც გასაგებია!

ეს, ის ხალხია, ვინც არა მხოლოდ შუალედურ არჩევნებს ბოიკოტირებს, არამედ ასევე ერთად და შეხმატკბილებულად იცავს ქართული ცნობიერების ამომგდებ, ხალხზე გამარჯვებულ, „დაჩაგრულ“ „რუსთავი-2“ და აგერ ახლა უკვე, ქართული ჟურნალისტიკის „პრიმადონა“, სამტრედიელ კონკია ინგა გრიგოლიას, როგორც თავის დროზე „ცხონებული“ მატროსოვი ამბრაზურას, ისე გადაეფერა!

ეს ის ხალხია — მოკლედ ეს „ის ხალხია“, რაა!..

რაც შეეხებათ ირაკლი ალასანიას და ნინო ბურჯანაძეს, ზემოთ ჩამოთვლილ ბოიკოტისტთა მიმართებით, ორივეს დიდი ვაჟას სიტყვებით მინდა მივმართო:

„გული როგორ არ გერევათ მაგათთან ჯდომა-ყოფნითა“?..

პირველი, ირაკლი ალასანია, კარგი ოჯახის და გმირი მამის შვილი, სამწუხაროდ, დღეს ამერიკელებისგან შემცდარი (იმედია, რომ არა მოსყიდული) გზააბნეული კაცია, რომელიც, იმედია, მაშინ მაინც მოეგება გონს, როდესაც, ფიგურალურად თუ ვიტყვით, ჩვენი მტერი რუსეთი, ჩვენი მეგობარი ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირე საქართველოს, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე ცხვირიდან ძმარს ადენს სულ ახლახან საქართველოში დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი ნატოს ე.წ. საწვრთნელი ცენტრის გამო!

რაც შეეხება ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ბოიკოტისტთა ამ „გაუგებრობაში“ მისი აღმოჩენა პირადად ჩემთვის გასაკვირიც იყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გულდასაწყვეტიც, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ პარტიათაგან თუ ვინმეს რაიმე საფუძვლიანი ამბიცია აქვს ქართულ პოლიტიკაში, ეს ნინო ბურჯანაძეა!

და რაც უმნიშვნელოვანესი მგონია, ამ ქალბატონის წარსულში, მსუბუქად რომ ვთქვათ, მძიმე შეცდომების მიუხედავად, მან ფერიცვალების ეკლიანი გზა წარმატებით გაიარა და დღეს ნინო ბურჯანაძე იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსთაგან ერთ-ერთია, ვის ეროვნულ მენტალობაშიც ქართველი საზოგადოების უმეტეს ნაწილს ეჭვი არ ეპარება...

ახლა ვნახოთ, თუ რა არის ბოიკოტის მთავარი მოტივაცია?

რა და, იგივე ბურჯანაძის კოალიციის ერთ-ერთი შემადგენლის, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის გიორგი ახვლედიანის განცხადებით, რომელიც მან „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა, თურმე ნუ იტყვით და, რადგან ერთი-ორი დეპუტატი ვერაფერს შეცვლის, ამიტომ მთავარი, მსოფლიო დემოკრატიული თანამეგობრობის (წაიკითხე აშშ) წინაშე ქართული ოცნების მარტოდ დატოვებით მისთვის ზიანის მიყენება ყოფილა?!

საზოგადოებას შევახსენებ, რომ ბატონი ახვლედიანი იმ გალსტუკიანი ხვლიკის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელიც სწორედაც რომ მარტო არასოდეს ტოვებდა თავიანთ შემქმნელ მიშა სააკაშვილსა და მამა-მარჩენალ ნაცმოძრაობას, რითიც წლების მანძილზე „აპრავებდა“ არჩევნებს და, შესაბამისად, მათ სისხლიან რეჟიმსაც!

ამ ლაქას, რამდენიც არ უნდა გაემიჯნონ გიორგი თარგამაძეს, ანუ „ირებრედინგონ“, ვერასოდეს ჩამოირეცხავენ „ნახვლიკარი“ ქრისტიან- დემოკრატები!..

ეს ისე, როგორც იტყვიან, ცნობისათვის, მცირე ლირიული გადახვევა...

სინამდვილეში ბოიკოტის მთავარი მოტივი ის არის, რომ ოპოზიციას არ ჰყავს ისეთი კანდიდატი, რომელიც კონკურენციას გაუწევს ქართულ ოცნებას და ამიტომ არჩევნებში უეჭველი გაფარჩაკებისთვის თავის არიდებას ბოიკოტის ნიღბით ცდილობს!

ერთადერთი გამონაკლისი სპა და მისი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილია!

არ ვიცი სპა რა შედეგს დადებს მარტვილში, მაგრამ საგარეჯოს მაჟორიტარულ ოლქში რომ ირმა ინაშვილს კონკურენცია ვერ უნდა გაუწიოს რესპუბლიკელების კანდიდატმა, ეს ცხადზე უცხადესია.

ჰოდა, ირმა ინაშვილმა არა თუ უბრალოდ, ანუ მცირე უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს, არამედ ძიუდოს ტერმინს თუ ვიხმართ, იპონით უნდა დასცეს ბეჭებზე რესპუბლიკელების კანდიდატი, ხიდაშელი ll.

ᲖᲔᲛᲝᲗ ᲜᲐᲮᲡᲛᲐᲠᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ „ᲣᲜᲓᲐ“ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲡ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ:

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲘᲛ ᲡᲙᲔᲞᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲡ ᲐᲕᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲣᲠ ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲞᲐ-Ს ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲒᲔᲜᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚ ᲑᲣᲓᲐᲠᲘᲮᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲔᲡ...

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲐᲓ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲨᲕᲘᲚ-ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ-ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲜᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲡᲐᲠᲘᲪ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲔᲠᲭᲝ ᲛᲘᲬᲐᲨᲘ, ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲡᲐᲠᲡᲐᲪ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲮᲛᲐᲡ!

ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓ�გᲔᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ — ᲑᲝᲚᲝ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲡᲞᲐ-Ს ᲡᲐᲮᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲭᲠᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲛᲧᲐᲧᲔᲑᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲕᲔᲚᲖᲔ.

ᲭᲐᲝᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ Ი�გᲘᲕᲔ ᲑᲐᲧᲐᲧᲔᲑᲘ ᲧᲘᲧᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ ᲣᲘᲚᲐᲯᲝ ᲘᲔᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲡᲛᲔᲜᲓᲘᲗ, ᲔᲡ ᲙᲐᲙᲐᲤᲝᲜᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲛᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲮᲛᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲤᲐᲠᲐᲡ!..

ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲐᲚᲘ (!), ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲘ (!) ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ „ᲠᲔᲒᲐᲚᲘᲐ“ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲦᲛᲡᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ (!!!) ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ, ᲮᲐᲢᲛᲬᲔᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲔᲠᲐᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲓᲐᲜ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, ᲛᲝᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲗᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ (10000), ᲮᲝᲚᲝ Ა.Წ. 31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ 2012 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ, — 25-30 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲬᲘᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ Ე.Წ. ᲙᲐᲠᲓᲐᲙᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ-ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ „ᲛᲝᲘᲡᲯᲘᲓᲐ“ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲐ, ᲐᲖᲘᲖᲘᲔᲡ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ Ა.Ш. ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!..

ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲔᲜᲓᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲚᲐᲮᲕᲘᲜᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲗᲣᲠᲛᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲛ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲧᲘᲧᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲐᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲜᲘ.

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ „ᲣᲜᲓᲐᲡ“ ᲒᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲔᲜᲘ, ᲯᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲬᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲐᲜᲢᲘᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲡ!

ᲗᲣ ᲔᲡ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲘᲪ ᲒᲐᲒᲕᲘᲛᲢᲧᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲘᲡᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ?

ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ...

ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲚᲣᲡᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲥᲕᲡ — ᲘᲒᲘ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲨᲔᲔᲑᲛᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ, ᲖᲔᲛᲝᲗ ᲗᲥᲛᲣᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ.Წ. ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲠ ᲔᲣᲧᲝᲤᲐᲗ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲯᲔᲠᲯᲔᲯᲝᲨᲘ ᲓᲐᲫᲠᲬᲘᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲔᲑᲚᲝᲓ, ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐᲠᲘ ᲛᲐᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲚᲑᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲐᲠᲘ ᲛᲐᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘᲪ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲐᲛᲘᲡ ᲢᲧᲣᲞᲔᲑᲘᲡ — ᲜᲐᲪᲔᲑ-ᲠᲔᲡᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲚᲣᲡᲘ ᲘᲠᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲡ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ!

ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲯᲔᲯᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲖᲝᲛᲐ-ᲬᲝᲜᲐᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲛᲘᲣᲩᲔᲜᲔᲡ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲞᲚᲘᲜᲢᲣᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ!

ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲔᲠᲗ ᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ?..

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐᲡ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲡᲢᲔᲑᲡ — ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲐᲐ...

ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲘᲡ — „ᲨᲐᲕᲝ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲝ“ ᲨᲔᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲪ ᲘᲥ ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ... ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲔᲚᲔᲗᲛᲔᲚᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲐᲜᲢᲘᲙᲣᲜᲢᲐᲓ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐᲗ, ᲓᲐ ᲩᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ, ᲠᲐ ᲛᲣᲪᲚᲘᲡ ᲒᲕᲠᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲪᲮᲔᲚ-ᲪᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲣᲤᲠᲗᲮᲝᲑᲡ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲣᲠ ᲘᲓᲘᲚᲘᲐᲡ ᲥᲝᲪᲔᲑᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲘᲝᲖᲡ!

ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲪ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ 5-6 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲖᲔᲪ ᲐᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲔᲜ?!

ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔᲜᲘ, ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲜᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲢᲝᲕᲜᲐᲓ �თᲣ ᲕᲘᲗᲧᲕᲘᲗ, ᲘᲚᲘᲐᲡᲔᲣᲚ „ᲛᲐᲛᲣᲚᲘ, ᲔᲜᲐ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡ“ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲖᲝ�გᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲓ!

ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝᲪ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲣᲠᲛᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲛ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲧᲘᲧᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲭᲐᲝᲑᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲜᲘ.

ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ „ᲣᲜᲓᲐ“ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲡ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ:

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲚᲣᲡᲘ ᲘᲠᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲡ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ!

ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲯᲔᲯᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲔᲜᲘ, ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲢᲝᲕᲜᲐᲓ ᲗᲣ ᲕᲘᲗᲧᲕᲘᲗ, ᲘᲚᲘᲐᲡᲔᲣᲚ „ᲛᲐᲛᲣᲚᲘ, ᲔᲜᲐ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡ“ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲖᲝᲒᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲓ!

ᲘᲥᲜᲔᲑ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲖᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲕᲐᲡᲮᲘ ᲮᲝᲢᲑᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲒᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ-ის ახალი ელჩი საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებში მხარდაჭერას ჰპირდება

იან კელიმ, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა საქართველოში, აკრედიტაციის ადგილზე ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გაავრცელა თავისი პირველი ვიდეომიმართვა, რომელშიც ისაუბრა თავის შესახებ და თავისი გეგმების შესახებ მისიის მეთაურის რანგში თბილისში.

„პირველად თბილისში 1976 წელს ვიყავი, როდესაც ვიყავი კოლეჯის სტუდენტი და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქალაქის ენერგიამ და სილამაზემ. მოულოდნელად ველოდები შესაძლებლობას, რომ გამოვიყენო დიპლომატიაში 30 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება საქართველოსთვის დახმარების გასაწევად, რათა მან მთლიანად აქციოს რეალობად ევროატლანტიკური მისწრაფებანი. ამერიკა საქართველოს მხარში უდგას რათა იგი გახდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და ევროპული ქვეყანა“, — განაცხადა იან კელიმ ვიდეომიმართვაში, რომელიც 14 სექტემბერს განათავსა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს „ფეისბუქის“ სოციალურ ქსელში.

ახალი ელჩი ასევე დაპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, ძველი სატრანსპორტო მარშრუტის „აბრეშუმის გზის“ ამოქმედებაში, რომელიც აზიას და ევროპას აკავშირებს.

კელის სიტყვებით, როდესაც ჩიკაგოს დატოვებენ, იგი და მისი ოჯახი მოიწყენენ „ჩიკაგო კაბსის“ გამო. ეს არის ბეისბოლის გუნდი, რომლის თაყვანისმცემლებიც ისინი არიან, ასევე ლეგენდარული ჩიკაგოს პიცას გამო, რომელიც ღრმა ფორმით ცხვება. ამავე დროს, როგორც ახალმა ელჩმა აღნიშნა, მათ უხარიათ მიირთვან ქართული ხაჭაპური და უყურონ ქართული ეროვნული საფეხბურთო გუნდის მატჩებს და ამავდროულად იგი და მისი ოჯახი მოულოდნელად ელოდებიან შესაძლებლობას — ახლოს გაეცნონ საქართველოს „შესანიშნავ ძველ კულტურას“.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციის თანახმად, საქართველოში შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე დანიშვნამდე, იან კელი 2013 წლიდან მუშაობდა ჩიკაგოში ილინოისის უნივერსიტეტში 2010-2013 წლებში. იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ეუთოში ელჩის რანგში. ამავე დროს 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე იგი იყო მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების მინსკის ჯგუფის თავმჯდომარე. 2009-2010 წლებში იან კელი მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროს ოფიციალურ წარმომადგენლად საზოგადოებრივ საკითხებში, 2007-2009 წლებში სათავეში ედგა ოფისს რუსეთის საკითხებზე ევროპის საქმეთა ბიუროში, 2004-2007 წლებში იყო ნატოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების უფროსი.

იან კელი სათავეში ედგა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციის განყოფილებას იტალიაში („2000-2004) წლები და თურქეთში (1997-2000 წლები“). 1994-1996 წლებში იყო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დახმარების პროგრამის კოორდინაციის ოფისის თანამშრომელი. მანამდე მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების მისიებში ავსტრიაში, იუგოსლავიაში, სსრ კავშირსა და იტალიაში.

მანამდე, სანამ დიპლომატიურ კარიერას დაიწყებდა 1985 წელს, კელი იყო მასწავლებელი ნიუ-იორკის ბერნადსკისა და კოლუმბიის კოლეჯებში. იგი სწავლობდა რუსულ ენას კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო დოქტორის ხარისხი სლავისტიკისა და ლიტერატურის დარგში.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე მან რიჩარდ ნორლანდი შეცვალა.

ექსპერტების შეფასებები

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა ელენე ხოშტარიამ ამერიკის ხმის რუსულ სამსახურთან საუბარში აღნიშნა, რომ მთლიანად, შეერთებული შტატების ელჩს ნებისმიერ ქვეყანაში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ვინაიდან, მისი სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები არის მსოფლიოში „დემოკრატიის“ ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და დამცველი“. მით უმეტეს სტრატეგიული პარტნიორის თვალსაზრისით, ამბობს ექსპერტი, საქართველოსთვის შეერთებულ შტატებს აქვს საკვანძო მნიშვნელობა.

„ამერიკა ყოველთვის იყო გადამწყვეტი ქართული დემოკრატიის მხარდაჭერაში, მათ შორის კრიტიკის გზითაც როდესაც არის ამის აუცილებლობა, ასევე ფინანსური დახმარების გაწევაშიც დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის. თავდაცვაში, ეკონომიკურ საკითხებში, ჩვენი ინტერესების დაცვაში იმ საფრთხეების ფონზე, რომლებიც მოდის რუსეთიდან და მთელ რიგ სხვა საკითხებშიც. ამავდროულად, ამერიკა ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს ნატოში ჩვენი ინტეგრაციის პროცესში“, — თქვა ხოშტარიამ ინტერვიუში.

იან კელიმ ელჩის რანგში თავისი პირველი ვიდეო მიმართვა გაავრცელა

ამავე დროს, ამბობს ექსპერტი, რომელიც საქართველოს წინა პრეზიდენტის მთავრობაში იყო ევროპულ ინტეგრაციასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, რუსეთისაგან და სხვა არადემოკრატიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით. ამერიკის შეერთებული შტატები — ესაა სახელმწიფო, რომელიც „იცავს თამაშის წესებს“, ესე იგი იმ წარმოდგენების საპირისპიროდ, რომლებიც, მისი სიტყვებით სურთ დანერგონ რუსულმა პროპაგანდისტულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. როდესაც ეხმარება დემოკრატიის განვითარებაში, ამერიკის შეერთებული შტატები არ ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ელენე ხოშტარიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იან კელი არის მეტად გამოცდილი დიპლომატი, რომელიც მუშაობდა ეუთოში, რაც ნატოსაგან განსხვავებით მისი სიტყვებით არის საკმაოდ რთული ფორმატი, ვინაიდან ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან ქვეყნები ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული პოზიციებით.

„ახალმა ელჩმა კარგად იცის რეგიონი. იგი არის მეტად მაღალი რანგის გამოცდილი დიპლომატი და მისი ჩამოსვლა საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში ახალ ენერგიას შეიტანს“, — ასკვნის ხოშტარია.

სახელმწიფო მართვის საქართველოს ინსტიტუტის პროფესორმა თორნიკე შარაშენიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იან კელის ჩამოსვლა ემთხვევა საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელს უნდა გაიმართოს პარლამენტის არჩევნები, რომელიც, ისევ ექსპერტის სიტყვებით იქნება კიდევ ერთი „სერიოზული ტესტი“ ქართული დემოკრატიისათვის.

„ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის ასეთ საპასუხისმგებლო პერიოდში ელჩად ნიშნავს ისეთი მაღალი რანგის დიპლომატს, როგორიცაა კელი, ხაზგასმით მიუთითებს შეერთებული შტატების მაღალ ინტერესს საქართველოსადმი“, — თქვა შარაშენიძემ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

მიგრანტებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ევროკავშირის სამიტი დაინიშნოს

მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით 22 სექტემბერს ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების რიგგარეშე შეხვედრა დაიგეგმა. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრები ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე საბოლოოდ მაინც ვერ შეთანხმდნენ იმ კვოტებთან დაკავშირებით, რაც დევნილების მიღებას უკავშირდება.

გარდა ამისა, ევროპული საბჭოს ხელმძღვანელი დონალდ ტუსკი ამ დროისთვის ევროკავშირის ლიდერებთან კონსულტაციებს მართავს იმისთვის, რომ შს მინისტრების შეხვედრა შეაჯამონ და გადაწყვიტონ, დაინიშნოს თუ არა ევროკავშირის ქვეყნების მეთაურთა სამიტი მიგრაციის საკითხებზე.

იაპონიამ თვითმფრინავთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ რუსეთს პროტესტი განუცხადა საჰაერო სივრცის დარღვევის გამო

იაპონიის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ იაპონიის საჰაერო სივრცე ნახევარკუნძულ „ნემუროს“ რაიონში დაარღვია თვითმფრინავმა, რომელიც რუსეთს ეკუთვნის. იაპონიის ხელისუფლებამ მოსკოვს სთხოვა განმარტება და გამოკვლევა ამ ინციდენტთან დაკავშირებით.

ჩილეში სამოქალაქო ავიაციის თანამშრომლები გაიფიცნენ

ჩილეში სამოქალაქო ავიაციის თანამშრომლებმა 24-საათიანი გაფიცვა დაიწყეს. „ბიბისის“ ცნობით, გაფიცვაში დისპეტჩერები და აეროპორტების სხვა თანამშრომლები მონაწილეობენ. ისინი კონტრაქტების გადახედვას და პენსიაში გასვლის პროცედურების შეცვლას ითხოვენ.

ჩილეს მთავრობის პრესსპიკერის, მარსელო დიასის თქმით, აღნიშნული გაფიცვა ჩილეს ისტორიაში ყველაზე დიდი ზარალის მომტანი იქნება. პროტესტის გამო დაახლეობით 324 რეისი გაუქმდება. შედეგად დაახლოებით 50 000 მგზავრი დაზარალდება.

როგორც ჩილეს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში აცხადებენ, პროტესტის დროს მხოლოდ საგანგებო ფრენები შესრულდება.

ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დარტყმა მიაყენეს სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროების მონაცემებით, რომლებიც სათავეში უდგანან ანტიტერორისტულ კოალიციას, დარტყმები მიაყენეს „ტაქტიკურ ჯგუფს“, რომელსაც გადაჰყავდა ბოევიკები ავტომანქანით, აგრეთვე ნავთობსაცავს, რომელსაც ექსტრემისტები აკონტროლებენ.

ობამა 25 სექტემბერს ჩინეთის წარმომადგენელთან ისაუბრებს

„პრეზიდენტის ეს ვიზიტი მისცემს შესაძლებლობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს, გააფართოვონ თანამშრომლობა მთელ რიგ გლობალურ რეგიონალურ და ორმხრივ საკითხებში ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, აგრეთვე ეს საშუალებას მისცემს პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ სის კონსტრუქციულად განიხილონ აზრთა სხვადასხვაობანი“, — ნათქვამია ანონსში, რომელიც თეთრმა სახლმა გამოუშვა.

ქურთი მებრძოლების თავდასხმის შედეგად სამი სამართალდამცველი დაიღუპა

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში ქურთმა მებრძოლებმა სამი სამართალადამცველი მოკლეს. „როიტერის“ ცნობით, „ქურთების მუშათა პარტიის“ წარმომადგენლებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა გზაზე განათავსეს, რომელიც პოლიციის ავტომობილის გავლის დროს გააქტიურდა.

აფეთქების შედეგად დაშავდა კიდევ ერთი სამართალდამცველი. მისი მდგომარეობა კრიტიკულია. შემთხვევა მარდინის პროვინციაში მოხდა. ქურთი მებრძოლები თურქეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებზე თავდასხმებს ხშირად ახორციელებენ.

თურქეთის არმია კი ქურთების პოზიციებს უტევს. დაპირისპირება ბოლო რამდენიმე თვეა, განსაკუთრებით გამწვავდა. შეტაკებებს ათობით ადამიანი შეეწირა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოულოდნელი წყალდიდობის გამო 16 კაცი დაიღუპა

ორივე ინციდენტი მოხდა იუტას შტატში და ისინი გამოიწვია მოულოდნელმა წყლის ნაკადმა: ერთი საგანგებო შემთხვევა მოხდა შტატის სამხრეთ-დასავლეთში ქალაქ ჰილდეიში, მეორე — ეროვნული პარკის „ზაიონის“ ერთ-ერთ ხეობაში.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)

პროექტის №P148048

დავალების სახელწოდება: განსახლების საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის კონსულტანტი

კონტრაქტი/ RFP # SLRPIII/CS/ICS-02
საიდენტიფიკაციო SLRPIII PP, პუნქტი No. 33.3

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის** განსახორციელებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **განსახლების საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობის კონსულტანტი.**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

1. 1. მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში (სოციოლოგია) ან/და საინჟინრო დარგში;
2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;
3. საკადასტრო და აზომვითი სამუშაოების გამოცდილება;
4. მინიმუმ 5-წლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება (მათ შორის მინიმუმ 2–წლიანი, დავალების შესაბამისი, გამოცდილება);
5. კომუნიკაციის და მოლაპარაკების ძლიერი უნარი;
6. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: MS Word, MS Excel, Internet, (GIS-ის და AutoCAD-ის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად).

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

ბანკის ინსტრუქციების – "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2004 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 2 ოქტომბრის 17:00 საათისა**.

სახელი და გვარი: ვახტანგ რაზმაძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)

Project No. P148048

Assignment Title: Resettlement Liaison Consultant

Contract/RFP No: SLRPIII/CS/ICS-02
Reference No. SLRPIII PP, Item No.33.3

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Resettlement Liaison Consultant.**

The estimated duration of assignment is 6 months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

Required Qualification of the Consultant:

1) At least bachelor's degree in social science (sociology) and/or civil engineering;
2) Experience in working with the issues related to land registration in National Agency of Public Registry;
3) Experience in cadastral and measurement activities;
4) At least five years of overall work experience (including at least two years of relevant works experience);
5) Strong communication skills and negotiating skills;
6) Computer skills: Proficiency in MS Word, MS Excel, Internet, (knowledge of GIS and AutoCAD will be an asset).

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (May 2004 edition, revised January 2011).

Interested consultants may obtain further information by email: i

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **October 2, 2015, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **ბიოფიზიკის განყოფილება –** მეცნიერ თანამშრომელი 2 ერთეული "ბ" კატეგორია;
- **რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** –მეცნიერ თანამშრომელი 1 ერთეული "ბ" კატეგორია.

მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები);
6. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;
7. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;
8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2015 წლის 17 სექტემბრიდან 2015 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით;
9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქ. №14, II სართული, კანცელარია

საკონტაქტო პირი – ნინო ემუხვარი, ელმირა მეგედი, მარიამ ირემაშვილი.

e-mail – secretary@lifescience.org.ge;

ტელ: 2 37 12 31, 2 37 11 65, 2 37 11 78.

◎ ალიან-ჩალიანი

პროექტი სწავლის ხარისხის ასამაღლებლად

ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ამოქმედდა. პროექტის მთავარი მიზანია მოხდეს სკოლებში სწავლის ხარისხის ამაღლება და შესაბამისად, მიიღონ უკეთესი ზოგადი განათლების სისტემა. აღსანიშნავია, რომ კარიერულ ზრდას თან ახლავს პედაგოგთა ანაზღაურების მატება.

სქემის ამოქმედებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები, პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის სამუშაო ვერსიას ყველა დაინტერესებული მხარე, უწყება თუ პირი გაეცნო, დაწყებული პრაქტიკოსი მასწავლებლებიდან დასრულებული ქართველი და უცხოელი ექსპერტებით. ყველა საინტერესო და საჭირო შენიშვნა თუ წინადადება გაზიარებული და ასახულია პროექტში, რომელსაც სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი განახორციელებს.

ჩვენეულ რეფორმებს სამხრეთ აფრიკელები ეცნობიან

საქართველოში „ღია მმართველობის პარტნიორობის" საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგაცია იმყოფება. დელეგაციას სამხრეთ აფრიკის საჯარო სამსახურისა და ადმინისტრაციის მინისტრის მოადგილე ხელმძღვანელობს. დელეგაციის წევრები იუსტიციის სამინისტროს ეწვივნენ.

ვიზიტის მიზანი ქართული რეფორმების გაცნობაა, რომლებიც ქვეყანაში სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით ტარდება. სტუმრებს იუსტიციის მინისტრის მოადგილეები გოჩა ლორთქიფანიძე და მიხეილ სარჯველაძე შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდა, აგრეთვე, ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზურაბ სანიკიძე.

იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა სტუმრებს იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტია ის, რომ საქართველოს ყველა დაბასა და სოფელში მცხოვრებ მოქალაქეებს სწრაფად და კომფორტულად შეეძლოთ სახელმწიფო სერვისების მიღება.

ინტერპრესი

◎ ფეხბურთი

ესპანურ ნოტებზე

ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის სტარტი ესპანური კლუბების დომინაციით აღინიშნა — სამივე პირენეული გრანდი მეტოქეებს იოლად გაუსწორდა, მაგრამ დღის მოვლენად მაინც ტურინის „იუვენტუსის“ გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ.

მოგეხსენებათ, ლიგის წლევანდელი ფინალის დათმობის შემდეგ „ბებერი ქალბატონი“ პირლომ, ტევესმა და ლორენტემ დატოვეს, რასაც სერია-ა-ში უფერული ჩაბმა მოჰყვა (ორი წაგება და ფრე), და ბევრმა მასიმილიანო ალეგრის შეგირდების ჩამოწერა იჩქარა.

საპირისპირო სურათია „სიტის“ ბანაკში, რომელიც პრემიერ-ლიგაში ერთმანეთის მიყოლებით ავლებს მუსრს ყველას და ქულათა მაქსიმუმით იწონებს თავს.

მოკლედ, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პროგნოზების გაკეთებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს და ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა, გამოუცნობი ფენომენია.

ჯგუფური რაუნდის I ტურის შედეგები: „სიტი“ — „იუვენტუსი“ 1:2, „ბენფიკა“ — „ასტანა“ 2:0, „გალათასარაი“ — „ატლეტიკო“ 0:2, „ვოლფსბურგი“ — ცსკა 1:0, „პსჟ“ — „მალმიო“ 2:0, „პსვ“ — „მანჩესტერი“ 2:1, „რეალი“ — „შახტარი“ 4:0, „სევილია“ — „გლადბახი“ 3:0.

გიორგი ზოთაძე

◎ თანამშრომლობა

„რომპეტროლი“ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის მხარდამჭერი გახდა

კომპანია „რომპეტროლიძ (ლძპ ტეუკტფეშწტფდ) საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის მხარდამჭერი გახდა. მხარეებს შორის 2-წლიან თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოეწერა.

ორმხრივ მემორანდუმს ხელი „რომპეტროლის“ გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინ პოპუშოიმ და ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა მოაწერეს. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ბრიფინგი გაიმართა, სადაც მედიის წარმომადგენლების კითხვებს ხელმომწერ მხარეებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა - ტარიელ ხეჩიკაშვილმა და ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ბოქოლიშვილმა უპასუხეს.

„რომპეტროლი“ ყოველთვის ცდილობს მხარში დაუდგეს ქართული სპორტის განვითარებას. კომპანიის პლატფორმა ითვალისწინებს ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას, რაც წლების განმავლობაში სპორტის სხვადასხვა სახეობის თანადგომაში გამოიხატება. ამიერიდან კი ამ სახეობების რიცხვს ძალოსნობა მიემატა. ფედერაციაში აცხადებენ, რომ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

„რომპეტროლი“ 10-12 სექტემბერს თბილისში გამართული ძალოსნობაში საქართველოს ჩემპიონატის სპონსორი იყო. ჩემპიონატი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის კახი კახიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა და მასში მონაწილეობა 80-მა სპორტსმენმა მიიღო. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ფედერაცია აქტიურად ემზადება ჰიუსტონში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატისთვის და რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მაქსიმალურად ბევრი ლიცენზიის აღებას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ „რომპეტროლ ჯგუფი“ ძალოსნობის მხარდამჭერი გახდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც არის წარმოდგენილი და წარმატებით მოღვაწეობს.

ინფორმაცია „რომპეტროლის“ შესახებ:

„რომპეტროლი“ საქართველოს ბაზარზე უკვე 9 წელია სტაბილურად და წარმატებით ვითარდება, წარმოადგენს საწვავის ერთ-ერთ უმსხვილეს იმპორტიორს და მომხმარებელს საუკეთესო ხარისხის — ევრო 5 საწვავს სთავაზობს. რომპეტროლ საქართველო წარმოადგენს KazMunayGas International NV, ყოფილი „რომპეტროლ ჯგუფის“ წევრს. კომპანიამ სახელი შეიცვალა 2014 წლის დასაწყისში, კომპანია KazMunayGas (KMG)-თან საქმიანობისა და ოპერაციების ინტეგრაციის შედეგად, რომელიც წარმოადგენს ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ეროვნულ ოპერატორსა და ჯგუფის ერთადერთ აქციონერს. KazMunayGas International NV 12 ქვეყანაში 7000 თანამშრომელს აერთიანებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

სპექტაკლებს უჩვეულოდაც დგამენ

მართალია, საქართველოს ეროვნული ნაკრები ვადამდე, თავაწეული დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ამის მიუხედავად ევრობასკეტისადმი ჩვენი ინტერესი ოდნავადაც არ განელებულა. პირიქით — საფრანგეთის ქალაქ ლილში დარჩენილი ელიტა ხომ მედლებთან ერთად რიო-დე-ჟანეიროს საგაისო ოლიმპიადის საგზურებს გაითამაშებს.

ფინალი მეოთხედფინალში — ბევრმა ასე მონათლა ესპანეთისა და საბერძნეთის ამბიციური გუნდების ბრძოლა, რომელმაც მოვლენათა დრამატული განვითარებით სრულიად გაამართლა გაცემული ავანსები.

ესპანეთი — საბერძნეთი 73:71

მთელი ტურნირის განმავლობაში ელადელები ერთიან, შეკრულ ორგანიზმად გამოიყურებოდნენ და უდანაკარგოდ თამაშობდნენ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა მათი ლიდერი სპანულისი გაენეიტრალებინათ, რომ მეტოქე გადამწყვეტ უპირატესობას დაეუფლა და გასოლის (27 ქულა) ძალისხმევით მძიმე გამარჯვებაც მოიპოვა.

საფრანგეთი — ლატვია 84:70

საფრანგეთი — ესპანეთი: დაგვეთანხმებით, დღეს უმძაფრესი ნახევარფინალი გველის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ბელენი, ლეო და ლაპაზმანები

არგენტინელი მოდელი ბელენ როდრიგესი, რომელმაც სახელი ცნობილ ფეხბურთელებთან სარეცელში ბორგვით გაითქვა, თურმე ძალიან დაამწუხრა იმ ფაქტმა, რომ ლეო მესი მისი ყაიდის ქალებისადმი გულგრილია და ვერ გაუგია რატომ უნდა თქვას ახალგაზრდა კაცმა უარი თუნდაც ერთღამიან სატრფიალო ქარიშხლებზე.

ბელენ როდრიგესისი აზრით, ლეო მესი ზედმეტად მორალისტური ადამიანია და ცოლის ერთგულებისადმი ღალატი სულაც არ იქნება, თუკი ლეო დაჰყვება უამრავი კეკლუცი ასულის სურვილსა და ოცნებას და მათთან თუნდაც ერთ ღამეს გაატარებს, რადგან სწორედ ასე იქცევა ცნობილ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი.

ასეთი თამამი განცხადების მიუხედავად, ბელენ როდრიგესი იმასაც დასძენს, რომ მას სულაც არ ალაპარაკებს პირადი ვნებები და სურვილები და ბელენისათვის ლეო მესი როგორც მამაკაცი არც ისე საინტერესოა. აბა, მაშ დავიჯეროთ, რომ ამოდენა სექს-სკანდალისტ ქალს მხოლოდ კოლეგებისადმი სოლიდარობა და მათზე ზრუნვის სურვილი ალაპარაკებს? მეტი არაა ჩემი მტერი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტრიუმფი

წასვლაც ასეთი უნდა

ამერიკის ღია პირველობის ფინალში იტალიელმა ფლავია პენეტამ თანამემამულე რობერტა ვინჩი 7:6 6:2 დაამარცხა, კარიერაში პირველი დიდი სლემის ტურნირი მოიგო და კორტს დიდების ზენიტში დაემშვიდობა.

შეხვედრა საათსა და 36 წუთს გაგრძელდა. პირველი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელშიც ფლავიამ 7:4 იმარჯვა. მეორე სეტში კი პენეტა 4:0 დაწინაურდა და საბოლოოდ შანსიც ხელიდან არ გაუშვია. პენეტას 4 ეისი და 1 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, ხოლო ვინჩიმ ვერც ერთი ეისი ვერ ჩააწოდა და ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

ორივე ჩოგბურთელი დიდი სლემის ფინალში პირველად იმყოფებოდა.

პენეტამ ფინალამდე გაიდიშოვა, ნიკულესკუ, ცეტკოვსკა, სტოსური, კვიტოვა და ჰალეპი ჩამოიშორა გზიდან.

კობა კობახიძე

◎ ჩვენი ენა ქართული

უცხო ენათა ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემისათვის

„სანკტ-პეტერბურგი კი არა, სანქტ-პეტერბურგი!“ — ასეთი კატეგორიული ფორმით (ამის სრული საფუძველი ჰქონდა. — ავტ.) დაასათაურა ამ ტოპონიმისადმი მიძღვნილი წერილი ენის მკვლევარმა მიხეილ ჭაბაშვილმა.

ქართულში უცხოური **კტ** კომპლექსი, დრო იყო, გადმოდიოდა კტ-ს სახით. შეიმჩნეოდა მერყეობაც: გვხვდება როგორც კტ, ისე ქტ. 30-იანი წლებისათვის ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარდა. კტ-ს ყველა შემთხვევაში შეესაბამება **ქტ** (მოვიგონოთ **აქტი, ფაქტი, ტრაქტატი, დირექტორი, რედაქტორი, რექტორი, სექტემბერი, ოქტომბერი** და ბევრი სხვა). ლენინგრადის ისტორიული სახელის თავში დართულ ნაწილაკშიც ხომ ეს კომპლექსი — (**„სანქტ“** (ლათ. სანქტუს-წმინდა), — ავტ.) გვაქვს! აქედან გამომდინარე, უნდა ვწეროთ **სანქტ-პეტერბურგი** — ეს არის დღევანდელი სალიტერატურო ენის ნორმა.

ამ თემას ასე წვრილად იმისათვის შევეხეთ, რომ, ჯერ ერთი, კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა ჩვენთვის საინტერესო კომპლექსის ქართულად გადმოტანის ხერხი და, მეორეც, გამოგვეყენებინა იმის საბაბად, რომ გაგვეხსენებინა ზოგიერთი სხვა ბგერისა და ბგერათკომპლექსის დაწერილობის წესები.

ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში **თ** და **ტ**. ორივეა მოსალოდნელი, რადგანაც ამ ენებს ერთიც ჰქონდათ და მეორეც — Q და J. ამიტომ ყველა ის ბერძნული და ლათინური სიტყვა, სადაც Q არის, თ-თი უნდა გადმოიცეს, ხოლო J არის, ტ-თი უნდა იწერებოდეს.

მაშასადამე, ერთი მხრივ, გვექნება: **ათეისტი, ანთოლოგია, ანთროპოლოგია, სიმპათია, ფილანთროპია** ... და, მეორე მხრივ, **— ეტიოლოგია, კატალიზი, ოდონტოლოგია, ონტოლოგია...**

თ-სა და **ტ**-ს წერის საკითხი მოგვარებულია გერმანულიდან და ფრანგულიდან მომდინარე სიტყვებშიც. ეს ენები თითქმის აღარ განასხვავებენ გამოთქმაში ამ ბგერებს. ფრანგულში ორსავე შემთხვევაში გამოითქმის დაახლოებით **ტ**, ხოლო გერმანულში **თ**. დაწერილობაში კი ორივემ შეინარჩუნა განსხვავება: **th** და **t** ამიტომ ამ ენათა დაწერილობაზე დაყრდნობით **th-თ**-ით უნდა გადმოიცეს, ხოლო **t-ტ**-ით: **ერფურტი, ეტიკეტი, ვირტუოზი, ტოლედო, ტურინი...**

რაც შეეხება ინგლისურს, აქ ცოტა სხვაგვარად არის საქმე: ერთმანეთში გვერევა ხოლმე: **ტ** და **თ, კ** და **ქ**. ამას ადასტურებს 2002 წელს გამოცემული წიგნი „ჩვენი ენა ქართული“, რომლის ავტორი, ენათმეცნიერი შუქია აფრიდონიძე, იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში შეერთებული შტატების პრეზიდენტის კლინტონის სამი სხვადასხვა დაწერილობა შეხვდა: **კლინტონი, ქლინთონი** და **ქლინტონი.** ამის გამო ავტორი განიხილავს ზოგიერთ წესს, რომლებიც მიღებულია ევროპულ ენათა თანხმოვნების გადმოცემისას საერთაშორისო სიტყვებსა და საკუთარ სახელებში და წერს: „ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა **თეატრი,** რომელშიც გვაქვს **თ**-ც და **ტ**-ც. ევროპული ენების t ასოს ქართულში შეესაბამება **ტ**, ხოლო th ჯგუფს — **თ**. ასე გადმოვიდა ქართულად საერთაშორისო სიტყვები და საკუთარი სახელები: **ისტორია, სტუდენტი... იტალია, ავსტრია... ვაშინგტონი, უოლტ უიტმენი... ოლივერ ტვისტი, ტომ სოიერი...** მაგრამ: **თომას მანი, თეკერეი, თეოდორ დრაიზერი და მისთ.** ამიტომ განსხვავებულად აღინიშნება შექსპირის ტრაგედიების პერსონაჟების სახელთა ბოლო თანხმოვნები — **ტ** (ჰამლეტი — **Hamlet** “ და **თ** (მაკბეთი — **Macbeth**). ამავე წესით ფორმდება ქართულად „მოწმობის“ აღმნიშვნელი **სერტიფიკატი,** ვინაიდან ევროპული ენების სათანადო სიტყვებში გვაქვს ცალი თანხმოვანი **t** (მაგ. ინგლისურში: **certificate**).

ასევე, ევროპული ენების თანხმოვნები ან მათი ჯგუფები — **c, k.ck.qu** — ქართულში **კ** თანხმოვნით გადმოდის: **პანადა, პუბა, ნიუ-იორკი, ჩიკაგო... დიკენსი, ჯონან-დოილი, უილკი ჯოლინზი და მისთ.**

ამიტომ, თუმცა თვით დედნისეული გამოთქმა ყველა ამ საკუთარი სახელისა **თ** და **ქ** ბგერებს უჭერს მხარს, ვინაიდან ამ ენებში მკვეთრი თანხმოვნები საერთოდ არ არსებობს, ეს უცხოური სახელები ქართულში დღესაც ხანგრძლივი ტრადიციით განმტკიცებულ დაწერილობას მისდევს. აქედან გამომდინარე, ახალი უცხოური სახელების ქართულად გადმოცემისას მხოლოდ საკუთარ ყურს ვერ დავენდობით და ანგარიში უნდა გავუწიოთ საუკუნეებით განმტკიცებულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით ითქმის უცხოური ტელესერიალების პერსონაჟთა სახელების გადმოქართულების შესახებ: **პორტერს** ვერ გადმოვიტანთ **ფორთერით, სტოუნს — სთოუნით, კერინგტონს — ქერინგთონით...** ისევე როგორც **ლინკოლნს — ლინქოლნით, უოლტ უიტმენს — უოლთ უითმენით და ვალტერ სკოტს — ვალთერ სქოთით.**

შესაბამისად, ამავე წესების დაცვით სწორი ვარიანტი იქნება: **ლინკოლნი, კლინტონი, სერტიფიკატი, ტინეიჯერი, სტივენსონი, სკოტლენდიარდი, კევინ კოსტნერი** და სხვა“...

ყოველივე ეს ზედმიწევნით ეხმიანება 1989 წელს გამოცემულ „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ და „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონს“.

ოთარ კაპანაძე

◎ ინფორმაცია

ნუ ქმნით კახელებისგან მტრის ხატს

ხდება კახელების მტრის ხატის შექმნა, რაც ძალიან საშიში და ცუდი ტენდენციაა, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა.

მისივე განმარტებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან ამ პროცესის ხელშეწყობა ხდება. „ჩემთვის ყველა რეგიონი თანაბრად მნიშვნელოვანია, არც მეტი არც ნაკლები — თანაბრად მნიშვნელოვანი. თხილის ფასი არის ლამის მესამედზე ჩამოსული, სიმინდის ძალიან ცუდი მოსავალია. შიდა ქართლში ნახეთ რა მოხდა, იქ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემაც არა აქვთ. იგივე იყო სამცხე-ჯავახეთში. მითხარით, როგორ განვსაზღვრო მე პრიორიტეტი? რატომ ერთი „კი“ და მეორე „არა?“. ამასთან, ყურძენი მარტო კახეთში არ მოდის და ძალიან ლეგიტიმური იყო ეს კრიტიკა, მე ვიღებ ამ კრიტიკას. რა თქმა უნდა, არასწორია სუბსიდირებაც და ამ კრიტიკასაც ვიღებ, მაგრამ ამ კახელ გლეხებს წარმოგიდგენიათ რა ბედი ელოდა, ეს რომ არ ყოფილიყო?

კიდევ ერთი რამ, თვალყურს ვადევნებ სოციალურ ქსელს და ხდება კახელების მტრის ხატის შექმნა, თითქოს ეს ხალხი არის უმადური და ა.შ. ეს ცუდი ტენდენციაა, ეს ძალიან საშიში ტენდენციაა და მე მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით პოპულისტ პოლიტიკურ ძალებს, დაანებონ ამ თემით სპეკულაციას თავი. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება. მე მაქვს განცდა, რომ ამ პროცესის ხელის შეწყობა ხდება.

პასუხისმგებლობა ორმხრივია, ცალმხრივი პასუხისმგებლობა არ არსებობს, თუ გვინდა ჯანსაღად განვავითაროთ დარგი“, — აღნიშნა ოთარ დანელიამ.

◎ შემთხვევა

აპარია ფოთის სარკინიგზო მაგისტრალზე

ფოთის რკინიგზის სადგურში სამგზავრო მატარებელს „თბილისი-ფოთი“ თბომავალი შეეჯახა. მომხდარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამსახურის ბრიგადები და პოლიცია. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

ფოთის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, ფოთი-თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებლისა და თბომავალის შეჯახების შედეგად 5 ადამიანი დაშავდა , მათგან 4 უკვე სტაციონარშია გადაყვანილი და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდართან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა სსძსაქართველოს რკინიგზამ. განცხადების თანახმად, სამგზავრო მატარებლისა და თბომავლის შეჯახება კერძო კომპანიის წარმომადგენლების მიერ მოძრაობის წესების დარღვევას უკავშირდება.

◎ ჩვენი კარაბადინი

გულის „გულიანი“ პრობლემები

თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით მედიკოსები აცხადებენ, რომ სექსი ხელს უწყობს გულის დაავადებათა პროფილაქტიკას, ასევე ამ სახეობის სნეულებათა გამძაფრების შემდეგ ორგანიზმის აღდგენას.

სამწუხაროდ, არითმიები და გულის სისხლძარღვთა სხვა დაავადებები ბოლო ხანებში ძალიან გაახალგაზრდავდა, მათი მსხვერპლი სულ უფრო მეტი კაცი ხდება. ამის გამო კი ბევრი ჯან-ღონით სავსე მამაკაცი, გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ, სექსუალურ ურთიერთობებს გარკვეული სიფრთხილით უდგება.

არადა, ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ **ინტიმურ ურთიერთობათა დროს გულზე დატვირთვა და ჟანგბადის მოთხოვნილება იმაზე მეტი არ არის, ვიდრე ჩქარი სიარულის ან კიბეზე ასვლის დროს.** ამდენად, თუ ასეთ ვითარებაში პრობლემები არ გექმნებათ, მაშინ, სავარაუდოდ, სექსუალურ ურთიერთობათა დროს ჯანმრთელობის მხრივ საფრთხე მოსალდნელი არ არის.

სტატისტიკური მონაცემებით, **სექსის დროს გულის გაჩერებაზე უეცარი სიკვდილის შემთხვევათა მხოლოდ 0,5 პროცენტი მოდის.** თანაც ხშირად ამის მიზეზი არა თავად სექსი, არამედ გარკვეული გარემოებებია: ასევე სტატისტიკური მონაცემები იმას მოწმობს, რომ ამ დროს მამაკაცთა უმეტესობა არა ცოლთან, არამედ საყვარელთან ერთად იმყოფებოდა, რამაც საბედისწერო როლი შეასრულა. ამის მიზეზი რამდენიმეა, კერძოდ:

● საყვარლებს შორის ხშირად ასაკში დიდი სხვაობაა. ამ დროს ასაკოვანი მამაკაცი ცდილობს, ახალგაზრდა ქალის მოლოდინი გაამართლოს და დატვირთვის დასაშვებ ზღვარს გადადის.

● სასიყვარულო ურთიერთობათა დაწყებამდე საყვარლები ხშირად ალკოჰოლსა და ზედმეტ საჭმელს ეტანებიან, რაც გულს ძალიან არ უხდება.

● კიდევ ერთი მიზეზი კი ისაა, რომ ცოლის ღალატი მამაკაცთა დიდ ნაწილში დანაშაულის გრძნობას წარმოშობს, ზედმეტი განცდა კი გულსა და სისძღვარღვევებზე უარყოფითად მოქმედებს.

● ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ საყვარელთან ურთიერთობის დროს ყველა მამაკაცს სურს, ყოჩაღად იყოს, ამდენად, წელის თუ გულის არეში ტკივილის გამო ჩივილი ესირცხვილება და მის გადატანას ცდილობს. ეს კი პირდაპირი გზაა გულის კატასტროფისკენ.

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ სექსის დროს

ინფორმაცია თემაში

უსაფრთხოების წესები

1. სქესობრივი ურთიერთობები რეკომენდებული არ არის ქამისა და ალკოჰოლის მიღებიდან სამ საათზე ადრე. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მის სახეობას — სპირტიანი იქნება ის, სუფრის ღვინო თუ ლუდი. სპირტიანი სასმელი და საკვები, განსაკუთრებით ხორცი, მკვეთრად ზრდის გულზე დატვირთვას.

2. თუკი დაღლას ანდა კუჭში სიმძიმეს გრძნობთ, უმჯობესია ინტიმზე უარი თქვათ.

3. სასიყვარულო ურთიერთობათა დაწყება არ ღირს, თუკი ნერვები გაქვთ მოშლილი, ანდა საკუთარ ძალებში დარწმუნებული არა ხართ. რჩევის სახით შეგიძლიათ მიიღოთ, რომ წარმატებული სექსისთვის ოპტიმალური დროა დილა.

4. მაქსიმალურად მოერიდეთ სექსს ექსტრემალურ პირობებში — საუნის მაღალი ტემპერატურა და ტენიანი ჰაერი, არაკომფორტული გარემო და ნაჩქარევი ურთიერთობა სნეულ გულზე ძალიან ცუდად მოქმედებს.

გულზე დატვირთვის დონე პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზაში იმყოფებიან საყვარლები. **კარდიოლოგები და სექსოლოგები გულის დაავადებათა მქონე მამაკაცებს დაბეჯითებით ურჩევენ პოზას, როცა ქალი ზევიდან არის, ან გვერდზე წევს.**

გასაგები მიზეზით, გადატანილი ინფარქტის შემდეგ მამაკაცები გაცილებით ფრთხილები ხდებიან, თუმცა კი ამ დროს მათ სხვა უსიამოვნება ელით — ისინი ხშირად სექსზე საერთოდ ამბობენ უარს. მოჭარბებული შიშისა და დაძაბულობის გამო ბევრს ლტოლვა უქვეითდება, დეპრესია ეწყება. სხვათა შორის, ინფარქტგადატანილ ქმართან სექსზე „ვეტოს“ ხშირად ცოლები მიმართავენ, რომლებიც მეუღლეების ჯანმრთელობას უფრთხილდებიან. არადა, ამის გაკეთება არ ღირს, რადგან გულით დაავადებულთათვის სექსი აკრძალული ხილი სულაც არ არის. ამიტომ, მედიკოსები ქალბატონებს ურჩევენ, რომ ნუ გაიღარიბებენ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, ნუ მისცემენ მეუღლეებს დეპრესიაში ჩავარდნის მიზეზს და საკუთარი თავის უძლურობის აღქმის საბაბს.

პასუხი იმაზე, თუ როდის შეიძლება გადატანილი ინფარქტის შემდეგ სექსუალურ ურთიერთობათა აღდგენა, უწინარესად, სურვილსა და ექიმის რეკომენდაციებზეა დამოკიდებული — **გულის სისხლძარღვთა ზომიერი ვარჯიში, რომელსაც სექსი წარმოადგენს, ორგანიზმს მხოლოდ სარგებელს მოუტანს.**

თუკი ექიმმა ინტიმურ ურთიერთობებზე „მწვანე შუქი აგინთოთ“, მაგრამ შიში არ გეშვებათ, უშუალოდ სქესობრივ აქტამდე ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბი ჩაიდეთ — ეს დაძაბულობასაც მოგიხსნით და გულის აჩქარებასაც დაგიმშვიდებთ.

დაბოლოს: თუკი ინფარქტამდე სექსი ნაკლებად გქონდათ, გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ რაღაცის დიდად შეცვლა არ ღირს, რადგან სექსუალური აქტივობის მკვეთრ ამაღლებას შესაძლოა უაღრესად ცუდი შედეგი მოყვეს.

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

◎ სულიერება

მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალის“ დღესასწაული

17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალის“ ხსენებას.

...მოსე წინასწარმეტყველმა მარიამ ღვთისმშობლის წინასახე იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა...

ღვთისმშობელ ქალწულს ხშირად უწოდებენ შეუწველ მაყვალს. მარიამ ღვთისმშობელს გამოსახავენ ცეცხლოვანი ნათლით განათებულს.

და, ანთია მაყვალი და... არ იწვის. ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება.

„შეუწველი მაყვალი“ ისეთი ხატია, რომელსაც 8 ქიმი აქვს, ვარსკვლავის სახით გადმოცემულია, ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედით შედგება; მათგან ერთი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა, და, რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა...

სასწაულმოქმედი ხატის განსაკუთრებული ხელნაწერი კანონი არსებობს წარწერით: „ეს საგალობელი იგალობება სინას მთაზე მაშინ, როცა ვინმე მოისურვებს იგალობოს ან თუ ჭექა-ქუხილი საშიში ხდება“.

მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის სახელზე მრავალი ხატია დაწერილი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნით თარიღდება.

გიული ლიპარტია

◎ მკურნალი წინდები

ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.

ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!

წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.

შესაძენად დარეკეთ 293-37-87 (ივ. მაჩაბლის 7), იკითხეთ კუკური.

◎ ჩვენი კარაბადინი

პანკრეატიტი ციფრებსა და ფაქტებში

კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებას პანკრეატიტი ეწოდება, რა დროსაც, მის მიერ გამოყოფილი ფერმენტები თორმეტგოჯა ნაწლავში კი არ გაიფრქვევა, არამედ თავად მასშივე აქტიურდება და მის დაშლას იწყებს (თვითმონელების ეფექტი); პანკრეატიტის 80-90 პროცენტი ალკოჰოლიზმით და შარდის ბუშტში კენჭებითაა გამოწვეული; არსებობს მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი. პირველი მათგანის სიმპტომებია ძალიან ძლიერი ტკივილები მუცლის ზედა ნაწილში, რომელიც ზურგში ურტყამს, ასევე გულისრევა, ზოგჯერ პირღებინებაც, სიცხე, კუჭის მოქმედების მოშლა; ლოთობის 5-7 წლის შედეგი, ჩვეულებრივ, პანკრეატიტს იწვევს; პანკრეატიტით დაავადების 100 ათასი შემთხვევიდან 25 ევროპაზე მოდის; ქრონიკული პანკრეატიტის გამძაფრება 6-7 თვეს შეიძლება გაგრძელდეს. მისი სიმპტომებია კუჭის ზეთოვანი გამონაყოფი ანდა აშლილობა, რომელსაც ძალიან მძიმე სუნი აქვს, წონის დაკლება, გულისრევა ცხიმიანი საჭმლის დანახვაზე, მეტეორიზმი, ავიტამინოზი; მწვავე პანკრეატიტის 15 და ქრონიკულის 40 პროცენტის წარმოშობის მიზეზი უცნობი რჩება; ნაღვლის ბუშტში კენჭების არსებობის გამო პანკრეატიტი ყველაზე ხშირად 50 წელზე მეტი ასაკის ქალებს წარმოეშვებათ; მწვავე აპენდიციტისა და მწვავე ქოლეცისტიტის შემდეგ, ქირურგიულ დაავადებათა ნუსხაში მე-3 ადგილზე დღესდღეობით მწვავე პანკრეატიტია; ასევე არსებობს ნიკოტინური პანკრეატიტი – თამბაქოს მოწევა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს იწვევს; მწვავე პანკრეატიტის დიაგნოზით სტაციონარში უფრო ხშირად მამაკაცები ხვდებიან, ქრონიკულის შემთხვევათა თანაფარდობა კი მამაკაცებსა და ქალებში, ფაქტობრივად, 1;1-ზეა; ქრონიკული პანკრეატიტი განუკურნებელია, თუმცა კი სწორი მკურნალობის შედეგად შესაძლებელია ხანგრძლივი რემისია; ქრონიკული პანკრეატიტი ხელს უწყობს დიაბეტის განვითარებას; პანკრეატიტი იმ მცირერიცხოვან დაავადებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებსაც უდგინდებათ.

◎ ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მარო, ახლა ფეხბურთი იწყება... შეიძლება, ტელევიზორს ვუყურო?
– უყურე! ოღონდ არ ჩართო!

* * *

– ხვალ კოსტია ჩამოდის! – ეუბნება პეტკა ცოლს.
– ისევ აპირებთ დალევას?
– არა, არა, რას ამბობ! არ ვაპირებთ, მაგრამ დავლევთ...

* * *

– პაპი, შენ პატარა იყავი? – ეკითხება მიხო.
– ვიყავი შვილო.
– ალბათ, შენი მელოტი თავის გამო სიცილით კვდებოდნენ ბავშები.

* * *

სექსი ტელეფონით:
– აი, მე ახლა ვიხდი ერთ წინდას, – ... ახლა მეორეს, ...ახლა კი მესამეს...
– შენ, რა ჩერნობილელი ხარ?!
– არა, ნორილსკიდან ვარ, ... ჩვენთან ძალიან ცივა!

* * *

მივიდა ტიპი სტუმრად. ხედავს, რომ მასპინძელი ზის სავარძელში და ბაიანზე უკრავს.
– სად არის შენი ცოლი?
– ფარდულშია, შეშას აპობს.
– არა გრცხვენია? შენ სითბოში ზიხარ და ბაიანზე უკრავ, შენი ცოლი კი შეშას აპობს?
– აბა, რა ჩემი ბრალია, თუ მან დაკვრა არ იცის?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე